- **აგუნა/ანგურა** ღვთაება ჩვენში ბახუს-დიონისეს ტოლფასი ფიგურაა, საინტერესოა, რომ ზოგ შორეულ ეთნოსში (ინდონეზია, იავა, სუდანის) სიტყვა **anggur** ღვინის აღმნიშვნელად გვევლინება!
- ერთ-ერთ ნაშრომში ვწერდით, რომ გადმოცემით ხევისბერებს და ქადაგებს საკრალური ინფორმაციის მისაღებად დაწესებული რიტუალების აღსრულებისას თავიანთ აღქმებში **სულიწმიდა** ევლინებოდათ მტრედის სახით [2]. ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ ფენომენმა მისცა საფუძველი სიტყვა **ანგელოზის/ἄγγελος** სახელდებას (ყ ასოთა წყვილი ბერძნულში იკითხება, როგორც ნგ), ტერმინის, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, ძველმა ბერძენებმა უცნობი აღმოსავლური ენიდან ისესხეს! აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ *ანგელოზს* საბა *ქადაგთან* აიგივებს.
- **ანგარიში** – მემარგეტა მიერ ამინდის პროგნოზისთვის საჭირო ქმედებების (გათვლების) აღმნიშვნელი სიტყვა (გადააზრებით - ანგარება). საქმე ისა, რომ მზის, მთვარის, პლანეტების მოძრაობაზე დაკვირვებისას განსაკუთრებული როლი ენიჭება **მნათობთა მიერ შექმნილი კუთხის და ფიქსირებას სპეციალურად შერჩეულ ნიშნულებთან მიმართებით** და, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ გავლავთ ანგურ, ანგარიშ და მრავალ ინდოევ-

როპულ ენაზე კუთხის (ასევე, ღუზის) აღმნიშვნელი ტერმინების ურთიერთმსგავსება.

- შესაძლებლად ვთვლით, ბერძნების მიერ ნასესხები ეს ტერმინი (დღემდე დაუდგენელია, სახელდობრ რომელი აღმოსავლური ენიდან) წარმოადგენდეს მთვარისა და მზის ღვთაებების მაიდენტიფირებელი ან და გურ (გერ, გელ, ხელ, ჰელ) ტერმინების შეერთებით მიღებულ კომპოზიტს. ამასთან, არ გამოვრიცხავთ, რომ შემდგომ ხანებში ეს თეონიმი გარკვეული სახეცვლილებით ტოპონიმადაც იქცა აქამდე გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე ტოპონიმ ინგლისისათვის. ამ ქვეყნის უძველესი სახელწოდება დაფიქსირებულია ლათინურ ენაში და გახლავთ **Anglia**, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, „ნათლიების“ როლში მოგვევლინენ ქართველების (პროტოქართველების) შორეული ნათესავები: ბასკები და/ან კელტები.

...

რა თქმა უნდა, სიტყვათა ეტიმოლოგიების კვლევები ზუსტ მეცნიერებათა სფეროს არ განეკუთვნება და ძნელია ამა თუ იმ ტერმინის წარმოშობის შესახებ ჭეშმარიტების ფლობაზე პრეტენზია განაცხადონ დარგის თუნდაც მეტად კვალიფიციურმა სპეციალისტებმაც კი! მაგრამ, თუ ძიების პროცესში მოცემული ჰიპოთეზის სასარგებლოდ დაგროვდება საკმაო რაოდენობის ფაქტები (წარმოვიდგინოთ ისინი ვითარების ამსახველი მოზაიკის ელემენტებად!), რაღაც მომენტში ძალაში შევა ამ სტატიაში ზემოთ ნახსენები დიდ რიცხვთა კანონი, რის შედეგადაც სურათის ბუნდოვნება იმდენად შემცირდება, რომ უკვე წარმატებით შეგვეძლება

ვამტკიცოთ – ჩვენს წინაშეა, მაგალითად, არა აფრიკის (ან არქტიკის) პეიზაჟი, არამედ ადამიანის პორტრეტი (ეტაპობრივად: ჯერ მხოლოდ მამაკაცის, მერე წვეროსნის, ბოლოს მარქსის და არა ენგელსის (ან პირიქით)).

აქვე შევნიშნავთ, რომ (ზოგადად გაგებულ) გამოსახულებების გამოცნობა ინფორმატიკისა და მომიჯნავე დისციპლინების ერთობლივი კვლევის საგანია ანუ გახლავთ რთული პრობლემების გადასაწყვეტად ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენების ასპარეზი. ბოლო ათწლეულებში მეცნიერთა ძალისხმევით ამ სფეროსათვის შეიქმნა ზემოთ მოხსენიებული სპეციალური მეთოდების მთელი არსენალი, რომელთა ეფექტიანობა არაერთხელ დამტკიცდა.

ლირიკულ-მათემატიკური გადახვევა(?) თემიდან: *თუ რა ძალა აქვს მათემატიკას და მისი ლოგიკის პრაქტიკულ რეალიზებას, ერთი-ორი მაგალითიც მოვიყვანოთ: ადამიანის ხელით, გონებით (უფრო ორივეთი) შექმნილი მთელი სიმდიდრე, იქნება ეს შოთას პოემა, ლეონარდო და ვინჩის თუ მიქელ-ანჯელოს ან ბეთჰოვენის შემოქმედება (გნებავთ, მათ ჩვენ მიერ ვორდსა თუ ექსელში შექმნილი ფაილებიც მივათვალოთ), კომპიუტერის მეხსიერებაში შესაძლებელია შევინახოთ ორად-ორი სიმბოლო - „0“ და „1“-ის მეშვეობით. მეტიც, თეორიულად ისიც კი შესაძლებელია, ფურცელზე ავსახოთ ერთადერთი წერტილის დასმითაც კი!*

სწორედ ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ენების წარმოშობა-განვითარების 3-ეტაპოვანი სქემა, საიდანაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ტერმინის ეტიმოლო-

გიური წარმოშობის ვერსიის ძიება დავიწყოთ არა „ქვემოდან“ (გნებავთ, არა მხოლოდ ამ საწყისი პოზიციიდან), არამედ წინასწარ გამოვთქვათ საფუძვლიანი ვარაუდი, თუ საიდან შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ეს სიტყვა, ისე მის ეტიმოლოგიაზე „ექვმიტანილი“ პირველწყაროს ამ თუ სხვა ენებში გაფანტული „ნამსხვრევები“.

ასეთი მიდგომა მკვლევრებს რომ საქმეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს, არაერთხელ დავრწმუნდით!

ახლა ასეთ ძირეულ ტერმინებზე გასვლა იყო ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი.

...

დასასრულ, ქართველებისათვის განსაკუთრებით საინტერესო სიტყვა **საქართველოს** ეტიმოლოგიის შესახებ:

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი დიდი ხნის წინ გადაიდგა - გავდივართ ტერმინ **ქართლზე** და ვთვლით, რომ მისი მართებულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

იგივე ითქმის მეორე ნაბიჯზეც, რომელსაც მივყავართ სიტყვა **ქართ**-თან (ეგრისში ტერმინმა როგორც ფორმით, ისე სემანტიკურად მცირეოდენი სახეცვლილება განიცადა და *ქორთუს* სახით ქართველის, ქართლელის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა).

შემდეგ კი ეტიმოლოგისკენ მიმავალი ბილიკი იკარგება, თუმცა მკვლევრების მიერ გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი, მაგალითად, ტერმინის ფუძედ *ქალდეა/ხალდის* მიჩნევის შესახებ... შესაძლოა, საბოლოო ტერმინის დამკვიდრებაში სიტყვა ქორედმაც მოახდინა გავლენა (საბა, ბიბლიაზე დაყრდნობით, ამ ტერმინს ასე განმარტავს: [1 ნეშტ. 28, 20]

სახლზედ სახლი აგებული; ქორედ-ქორედი – ოთხ(ი)-ხუთი სახლი სახლზედ შენებული).

სტატიაში ადრე მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, *ქართ/ქართლ* ტერმინის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში არ გამოვრიცხავთ ამ თითოეული ვერსიის წვლილს, მაგრამ აქვე თავს უფლებას ვაძლევთ, ქვემოთ მოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით, **ქართ** ტერმინის წარმოშობის შესახებ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება:

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ **ქართ**-ის სახელდებისათვის მთავარ ორიენტირად მივიჩნევთ ტერმინ **თარგამოს**.

ჩვენი ვარაუდით, ამ ლეგენდარული გმირის სახელი მომდინარეობს **თარგამ** სტრუქტურის მქონე უძველესი წარმართული კერპის აღმნიშვნელი თეონიმისაგან.

თეონიმებისა და ტოპონიმების ორკომპონენტთან კომპოზიტებად წარმოდგენის მოტივებზე ამავე სტატიაში ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ, რომ განსახილველი ტერმინის წარმოშობისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოყენებულიყო როგორც ერთი, ისე მეორე გზა (ცნობილია, რომ გადასვლა ტოპონიმისა თეონიმში და, პირიქით, იშვიათი მოვლენა არ გახლდათ):

1. **ტოპონიმური წარმოშობის ვერსია.** საქართველოს შუაგული იყო და არის ქართლი. მის გულად კი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მცხეთა, ისე მასთან სიახლოვეში მყოფი ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორიცაა სოფლები: **ხოვლე** და **კავთისხევი**, აგრეთვე მხარეები: **თორი** და **ხევი**. ამ ტერმინების (ასევე გამ ↔ ქავ (კავ) სახის ვარიაციის) კომპოზიტად გადაქცევით შესაძლებლად მიგ-

ვაჩნია **თარ + გამ** (თარ + ქავ) ტოპონომის წარმოშობა. **ქავ** ტერმინი ქართულში დამოუკიდებლადაც არსებობს, მაგალითად **ქავის ციხის** სახით (აღნიშნავს შემოზღუდულ, დაკავებულ, დაცულ ტერიტორიას). არ გამოვრიცხავთ, რომ **კავთისხევი** კიდევ უფრო რთული სტრუქტურის კომპოზიტიც იყოს, რომელმაც დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა და თავდაპირველად მოიხსენიებოდა, როგორც **ქავ+თარის ხევი**. საინტერესოა, რომ ადრე საქართველოში არსებულა დასახლებული პუნქტი **ქავთარი**. შემორჩენილია XIII ს-ის დროინდელი საბუთი იმის შესახებ, რომ ქართლის მსხვილმა ფეოდალმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს მეწისქვილედ შესწირა სოფ. ციხედიდის მცხოვრები გლეხი **ქავთარელი**. ამრიგად, შესაძლოა მომხდარიყო ასეთი სახის გადასვლები:

ქავ+თორ → ქავ+თარ → ქავთარელი

(ჰაპლოლოგიით) →

ქავთარელი (მეტათეზისით) → **ქართველი**.

2. **თეონიმური წარმოშობის ვერსია**. რელიგიური წარმოდგენები ძალიან დიდი ხნის ჩაისახა, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი და პატივი ჩანს, მაშინ ერგო, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სულებს, ღვთაებებს, შემდეგ ღმერთს არა „უბრალოდ“ შეწევნა-დახმარების თხოვნით მიმართავდა, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის საპატივცემულოდ აგებულ საკულტო ნაგებობებს ასტრო-

ნომიული დაკვირვებისთვისაც იყენებდა. ასევე, ვწერდით, რომ ადამიანები ხშირად მათთვის ირჩევდნენ მდინარეთა შეერთების ადგილს (ასეთი ტერიტორია გაზაფხულზე წყლის მიერ მოტანილი შლამით ნოყიერდებოდა). სწორედ ამ ფაქტორზე უნდა მიგვითითებდეს მეგრულში შემორჩენილი სიტყვა **ხვითორი** - ხვითოს მდებელი, ნაყოფიერი ადგილი [17].

ზემოთ საუბარი გვქონდა, თუ ერთი ეტიმონიდან წამოსულმა სიტყვებმა როგორი ცვლილებები შეიძლება განიცადოს როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ეტიმონით სახელდებული არსი, მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმურ-თეონიმურ-ასტრონომიული დანიშნულების ობიექტი, თავის დროზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ადამიანების ცხოვრებაში, მათი ყოველდღიური საქმიანობის ჩათვლით.

საქმე ისაა, რომ, ჩვენი ვარაუდით, **ქავთარ** ეტიმონის ჩამოყალიბება მაშინ მოხდა, როდესაც ერები ჯერ კიდევ არ იყვნენ დიდად დიფერენცირებული და სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული თეონიმი ბევრი ერისთვის ქვეულიყო ქვეყნის ცნების აღმნიშვნელ ზოგადი სახის ტოპონიმად თუ, ამა თუ იმ ასოციაციით, სხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელ ტერმინად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ განხილვის ღირსია ისეთი, ერთი შეხედვით, ფანტასტიკური ვერსიაც კი, როგორცაა **ქავთარ** ტერმინთან (ჩვენი ვარაუდით, უძველეს სიტყვა-ეტიმონთან) ნათესაურ კავშირზე „ექვის მიტანა“ რიგი ტერმინებისთვის, ამასთან, სხვადასხვა ენაზე,

რომელთა ეტიმოლოგიური წარმოშობა მკვლევრებისთვის სრულიად უცნობია ან ფუძისკენ მიმავალი ბილიკი ორიოდ ნაბიჯის შემდეგ უჩინარდება.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ტერმინის სია:

Country (ინგლ.) - ქვეყანა;

Ху(в)тор (რუს., უკრ., პოლ. ხუტორი) – არის ვარაუდი, რომ ტერმინი მომდინარეობს ძვ.-ზ.-გერმ. Huntari-დან (ოლქის ნაწილის ადმინიშვნელია);

სხვიტორი, ქვიტირი, კინტრიში, ქუ(ვ)თა(რ)ისი;

гу(в)тарить (?) – ტერმინის ირონიული შეფერილობა, მისი წარმოშობის იმ შორეულ წარსულზე მეტყველებს, როდესაც ადამიანები ქავთარ და მისი მსგავსი ფუნქციების მქონე კერპების საპატივცემულოდ შემდგომ ხანებში შერისხულ ცეკვა-სიმღერებს ასრულებდნენ! ასეთი ტერმინების რიგში მოვიაზრებთ ასევე ლათინურ *cantare*-ს, ქართულ *კუნტრუმს*, სპარსულიდან შემოსულ *კინტოს* (გაიგივებულს ცულლუტ, ლაზღანდარა, მასხარა პერსონებთან).

დასკვნა

სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საკამათო და გამოსაკვლევ-გამოსაჩხრევ-დასამტკიცებელი ჯერ კიდევ ბევრია (ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერთა, თუმცა არა მხოლოდ მათ მიერ), მაგრამ ის ფაქტი, რომ 8 ათასი წლის წინ ჩვენმა წინაპრებმა (სავარაუდოდ, პროტობერებმა და კელტებმა) კაცობრიობას აჩუქეს კულტურული ვაზი და მისგან დაწურეს ღვინო, ასევე ხორბალი/პური და ხელი მოკიდეს მეთაფელობასაც, ჩვენი ჰიპოთეზები (და მომავალში აღმო-

საჩენი კიდევ ბევრი სხვა რამ) მთლად გასაოცრად არ უნდა მოგვეჩვენოს!

(კარგი იქნება, თუ ლინგვისტები იმსჯელებენ ამ ვერსიების შესახებ და კიდევ უკეთესი, თუ მათი და ჩვენი მოზრებები/ არგუმენტები ერთმანეთთან დაემთხვევა).

ამრიგად, სტატიაში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ თითოეული მათგანი საფუძვლიანად განხილვის ღირსია. გვსურს აქ ერთ მომენტსაც გავუსვათ ხაზი:

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულეს ბერძნულმა და რომაულმა ცივილიზაციებმა მთელი კაცობრიობის წინსვლის საქმეში. დასტურად ერთადერთი ფაქტის მოყვანაც კმარა - დღეს განვითარებულ ერებს მათი ენებიდან უამრავი სიტყვა აქვთ ნასესხები. როდესაც ქართველები (გნებავთ, პროტოქართველები) თუ პირველნი არა ერთ-ერთნი მაინც იყვნენ, ვინც მომთაბარეობიდან გადავიდნენ ადამიანების ცხოვრების თვისებრივად ახალ წესზე – მიწათმოქმედებაზე, რის შედეგადაც კაცობრიობა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. საკვირველი სწორედ ის იქნებოდა, ამ პროცესის თანამდევნი ცვლილებები ჯერ ჩვენს ენაში არ მომხდარიყო, ხოლო შემდეგ, ზემოთ აღნიშნული პროცესის მსგავსად, სხვა ერების ენებშიც არ ასახულიყო.

იქნებ სწორედ ამის შესახებ გვესაუბრებოდა იოანე-ზოსიმე?

ლიტერატურა

1. Gvinepadze G. Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №1 (511). 2019, 80-88pp. (in Georgian).
2. Gvinepadze G. Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach (for etymology of the term ‘Georgia’). Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №2 (512). 2019, 40-54 pp. (in Georgian).
3. Gvinepadze G. The subject-oriented linguistics. II international scientific conference "Processing of natural languages. Georgian language and computer technologies". Tbilisi. 2004, 28-29 pp. (in Georgian).
4. Gvinepadze G. Sciences and Ioane-Zosime “Praise and Exaltation of the Georgian Language”. I international scientific conference “Science and religion”. Tbilisi. 2005. (in Georgian).
5. Gvinepadze G. Computer system for etymologic research automation. Scientific-historical journal “Svetitskhoveli”. #2. 2011, 35-39 pp. (in Georgian).
6. Gvinepadze G. Concept for etymologic research computer system. Conference devoted to the automated control systems department 40th anniversary. 2011, 244-247 pp. (in Georgian).
7. Gvinepadze G. New water theory about the origin of languages through mythological, biblical and scientific views. III international conference “Science and religion”. Tbilisi. 2014, 313-320 pp. (in Georgian).
8. Gvinepadze G. Using control theory methods for the problems of language origins and development and Wiktionary improvement. International scientific conference “Science and religion” devoted to Academician Iv. Prangishvili 85th anniversary. Tbilisi. 2015, 191-197 pp. (in Georgian).
9. Gvinepadze G. Issues of origins and development of languages through the ages. IV International scientific conference „Computing/informatics, educational sciences, teacher education”. Tbilisi. 2016, 359-364 pp. (in Georgian).
10. Chachanidze G., Gvinepadze G. Advancing language technology to build cross-cultural bridges. Multilingualism in cyberspace. Proceedings of the Ugra Global Expert Meeting. Interregional library cooperation centre. Moscow. 2016, 257-263 pp.
11. Gvinepadze G. Issues of origins and development of languages through the ages and the Wiktionary. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. N3, (505). 2017, 49-66 pp. (in Georgian).
12. Gvinepadze G. On the origin of the river Mtkvari (Kura) and the concept of interactive system for etymological research. Tbilisi: Publishing House “Technical University”. “Works”. №1 (507). 2018, 18-31 pp. (in Georgian).
13. URL:
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AD%D1%82%D0%B8%D0%BC%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F_%D0%BE%D0%B9%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%B8%D0%BC%D0%B0_%C2%AB%D0%9C%D0%BE%D1%81%D0%BA%D0%B2%D0%B0%C2%BB (in Russian).
14. Gvinepadze G. Architecture - the phenomenon of the relationship of science, religion and art. Tbilisi: Scientific and technical magazine “Modern problems of architecture and town planning”. №10. 2019, 89-98 pp. (in Georgian).
15. URL:
http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf (in Georgian).
16. URL: <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/111016/89/> (in Georgian).
17. Gakharia N. Vocabulary designating the notions of soil and water in the Mingrelian-Laz languages. Master research paper. Sokhumi State University. 2019. (in Georgian).

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach

Gela Gvinepadze Department of Automated Control Systems, Georgian Technical University, 77
M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Reviewers:

G. Surguladze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: gsurg@gmx.net

K. Pkhakadze, Dr. Sci. in Physics and Mathematics, Director of Educational Research Center for Technologization of the Georgian Language

E-mail: gllc.ge@gmail.com

Abstract. The article considers new versions of the etymological origins for a number of words both in Georgian and in other languages on the basis of the theory of the origin of languages proposed by its author.

In addition to the abovementioned theory the author used an interdisciplinary approach during the search for the etymons of words. In particular, the necessary information from various spheres of human activity was selected. Then for their comparison, analysis and final decision making were used the methods that are successfully applied by system analysts in the development of computer systems. These methods are used not only to find out meaningful facts about the research field, but also to evaluate proposed solutions, namely, the instruments, such as questionnaire methods, Delphi, brainstorming, Six Thinking Hats of de Bono, etc.

Key words: Angel; Ankara; England; Enguri; etymological research; interdisciplinary approach; Kiev; Moscow; Sakartvelo.

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

Решение некоторых сложных лингвистических задач с помощью интердисциплинарного подхода

Гела Гвинепадзе Департамент автоматизированных систем управления, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Рецензенты:

Г. Сургуладзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: gsurg@gmx.net

К. Пхакадзе, доктор физико-математических наук, директор научно-исследовательского центра технологического грузинского языка

E-mail: gllc.ge@gmail.com

Аннотация. В данной статье, на основе предложенной ее автором теории происхождения языков, для ряда слов как на грузинском, так и в других языках, предлагаются новые версии их этимологического происхождения. Кроме отмеченной выше теории, во время поисков этимологов слов автором статьи применялся интердисциплинарный подход; в частности, подбирались нужные сведения из различных сфер людской деятельности, а для их сопоставления, анализа и принятия окончательных решений на их основе, были задействованы те методы, которые успешно используются системными аналитиками при разработке компьютерных систем, и не только для поиска значимых фактов об области исследований, но и для оценки предлагаемых решений, в частности, такие инструменты, как методы анкетирования, Дельфи, мозговой атаки, 6 шляп доктора де Боно и др.

Ключевые слова: Анкара; Angel, Anglia, Киев, Москва; Энгури; этимологические исследования; интердисциплинарный подход; Сакартвело.

განხილვის თარიღი 16.10.2019

შემოსვლის თარიღი 20.11.2019

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.03.2020

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-80-93>

გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის ამაღლების მეთოდები

გელა ღვინევაძე მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

თორნიკე შავიშვილი მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: shavishvilitornike@gmail.com

რეცენზენტები:

გ. ჩაჩანიძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: guramchachanidze@yahoo.com

ე. კურცხალია, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: kurcxalia.elguja@gmail.com

ანოტაცია. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღების საკითხი გამოიყენება ისეთი სახის ამოცანების ამოსახსნელად, რომლებიც ადვილად ემორჩილება მათემატიკურ ფორმულირებას, მაგრამ ხასიათდება ე. წ. განზომილებათა წყევლით, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური სიტუაციის წარმოდგენა მათემატიკური მოდელის სახით ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ სხვადასხვა შეხედულების შეჯერება და მათგან ლოგიკურად რაც შეიძლება დასაბუთებული ვარიანტის ამორჩევა ან არსებულთა ბაზაზე ახლის მიღება. როგორც ერთი, ისე მეორე სახის ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება თანამედროვე მიდგომები, კერძოდ პირველი

ჯგუფის ამოცანებისათვის – საზღვრების და შტოების მეთოდი, რომელთა ეფექტიანობის ასამაღლებლად ავტორებმა გამოიყენეს მოდიფიცირებული, ევრისტიკულ მიდგომაზე დაფუძნებული მიდგომა, ხოლო თუ პრობლემური სიტუაციების გადასაწყვეტად მათემატიკაცია ვერ ხერხდება, შემოთავაზებულია დელფოსის და 6 ქუდის მეთოდების კომბინირებული და 7 ქუდად მოდიფიცირებული ვარიანტი და მათ ბაზაზე ინტერაქტიური კომპიუტერული პროგრამის კონცეფცია.

საკვანძო სიტყვები: დელფოსის მეთოდი; 6 ქუდის მეთოდი; კომპიუტერიზაცია; საზღვრების და შტოების მეთოდი, მათი კომბინირება; 7 ქუდის მეთოდი.

შესავალი

საკამათო არ არის, რომ გადაწყვეტილების მიღება ორგანული ნაწილია ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროსათვის და, ბუნებრივია, მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად გაწეული ქმედებები ასევე ამ პროცესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია.

ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობდა ფიზიკური შრომა შეემსუბუქებინა. თავდაპირველად ჩვენი წინაპარი ქმნიდა უმარტივეს ქვის საფხეკებს, შემდეგ უფრო რთულ ინსტრუმენტებს: ნაჯახს, შუბს, მშვილ-ისარს... გავიდა ხანი და იგი უკვე ფიქრობს, გონებრივი შრომაც შეიმსუბუქოს – მნიშვნელოვანი ინფორმაციის დასამახსოვრებლად ქმნის დამწერლობას, ეუფლება ზუსტ მეცნიერებებს, შემუშავებს მეთოდებს, რომლებზე დაყრდნობითაა შეისწავლის გარემომცველ სამყაროს. ამასთან, საუკუნეების განმავლობაში ისე სრულყოფს ამ მეთოდებს, რომ ისინი უკვე მძლავრ ინსტრუმენტად გვევლინება ჩვეულებრივი შესაძლებლობის ადამიანის ხელში. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: თუ ადრე მონაცემების რომაული ციფრებით წარმოდგენის შემთხვევაში მათზე არითმეტიკული გათვლების ჩატარება განსაკუთრებულ ნიჭიერებას მოითხოვდა და, აქედან გამომდინარე, ამ საქმის მცოდნენი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, არაბულ ციფრებზე გადასვლამ საუკუნეების წინ ეს ფრიად ინტელექტუალური საქმიანობა რუტინულ ხელობად გადააქცია.

ბოლო ორ საუკუნეში მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარებამ მეცნიერების დარგების არნახული წინსვლა მოახდინა, ხოლო მე-20 საუკუნეში, როდესაც ადამიანის ინტელექტს მხარში ამოუდგა

მის მიერვე შექმნილი საოცრება – კომპიუტერი, ზრდის ამ ტემპმა კიდევ უფრო მოიმატა. ადამიანის გენიის მიერ შექმნილი ამ პროდუქტის შესაძლებლობები დღეს წარმოუდგენლად სწრაფად იზრდება და ხვალ როგორ სიმაღლეს მიაღწევს, პროგნოზირება ძნელია. შევნიშნავთ, უკვე შექმნილია კვანტური კომპიუტერი. მას სატესტო ამოცანის გადაწყვეტაზე, რაც მეცნიერთა გათვლით აქამდე 10 ათასი წლის განმავლობაში თუ მოხერხდებოდა, დასჭირდა მხოლოდ 200 წამი! [1].

მაგრამ, თუნდაც მხოლოდ დღევანდელი კომპიუტერის შესაძლებლობებთან გაცნობა და მათი გამოყენება ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში (რაც არათუ შესაძლებელია, განხორციელებულიც გახლავთ) მოითხოვს ახალი რეალობის შესაქმნის რევოლუციურ გარდაქმნებს როგორც კვლევების, ისე სწავლების პროცესში. გარკვეული ხელშესახები შედეგებიც მიღწეულია – სწორედ კომპიუტერის და მისთვის შექმნილი ტექნოლოგიების დახმარებით ხერხდება, მაგალითად, ისეთი კომბინატორული ტიპის ამოცანების გადაწყვეტა, რაც ადრე პრინციპულად შეუძლებელი იყო ე. წ. *განზომილების წყევლად* სახელდებული ხელშემშლელი ფაქტორის გამო. ნათქვამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი შთამბეჭდავი მაგალითი – სწორედ ამ გზით მოხერხდა საყოველთაოდ ცნობილი 4 ფერის ამოცანის სრული სახით გადაწყვეტა (და, ცხადია, არა მარტო ამ პრობლემის).

გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რა სიმაღლეზეც არ უნდა ავიდეს კომპიუტერის გამოთვლითი შესაძლებლობები, ზემოთ აღნიშნული *განზომილების წყევლად* წოდებული ფაქტორის გამო, ბევრი ამოცანის გა-

დაწყვეტა მისაღები დროის მონაკვეთში მაინც ვერ მოხერხდება. საქმე ისაა, რომ არცთუ ძალიან დიდი, N რაოდენობის ობიექტებისათვის მათი რაიმე სახის კომბინატორული წესით დაჯგუფება იძლევა ექსპონენტური ზრდის წესებს დაქვემდებარულ ვარიანტთა უზარმაზარ რაოდენობას. ნათქვამის შესანიშნავ ილუსტრაციად გამოგვადგება ამოცანა, ჭადრაკის გამომგონებლის დაჯილდოების ლეგენდარული ისტორიიდან.

ამრიგად, გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად ეფექტიანი ალგორითმების ფორმირების საკითხი მეცნიერთა ზრუნვის საგანი ყოველთვის იქნება.

კომბინატორული სახის ამოცანების ამოხსნის დროის შესამცირებლად განკუთვნილი ერთ-ერთი მიდგომაა **შტოებისა და საზღვრების მეთოდი**, რომელიც მრავალჯერ და დეტალურად არის აღწერილი ლიტერატურაში, მოდიფიცირებული ვარიანტების ჩათვლით [2, 7, 8]. ამის გამო, მოკლედ ავხსნით მის არსს:

1. მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ერთგვაროვანი ობიექტების ურთიერთგანლაგების ვარიანტების აღმწერი ხის ფორმირებას. ამ ხეზე „მოგზაურობის“ ფინიშზე ობიექტების ურთიერთგანლაგება ბოლომდე განისაზღვრება, ხოლო შუალედურ პოზიციებზე – ნაწილობრივ;
2. ხის შუალედური პოზიციებისათვის ფასდება ძებნის გაგრძელების პერსპექტიულობა, კერძოდ მიმდინარე პოზიციიდან მარშრუტის ნებისმიერი გზით გაგრძელება-დასრულების შემთხვევაში გამოითვლება მიზნობრივი ფუნქციის მიერ მიღებული შესაძლო

შედეგების *ქვედა შეფასება* და თუ ის უარესია მოცემულ მომენტში აღნიშნული ფუნქციის რეკორდულ მნიშვნელობაზე, ამ მიმართულებით შემდგომი ძიებები წყდება – ვარიანტების ხეზე მოიჭრება შტო.

შტოებისა და საზღვრების მეთოდი არ მოითხოვს პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის მკაცრად დეტერმინირებული მიდგომა, რაიმე სტანდარტული ფორმულა. სპეციალისტმა, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დასახული მიზნის მისაღწევად თვითონ უნდა შეიმუშაოს ევრისტიკული სახის ალგორითმი, თუმცა ამ შემთხვევაშიც მეთოდი გულისხმობს ზუსტი ოპტიმალური ამონახსნის მოძიებას, რაც ძალიან ხშირად მისაღებ დროში მაინც ვერ ხერხდება!

ვთვლით, რომ შესაძლებელია გამოთვლების პროცესის დროის მნიშვნელოვნად შემცირება შემდეგი ვითარების გათვალისწინებით:

შტოებისა და საზღვრების მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება არა მათემატიკისათვის მნიშვნელოვანი თეორიული დებულებების დამტკიცებულ უარყოფისათვის, არამედ ისეთი ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებისთვისაც მიწოდებული მონაცემები რეალურისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება, მაგალითად, საზომი ხელსაწყოების არასრულყოფილების გამო, თუმცა ითვლება, რომ ცდომილება დასაშვებ ფარგლებშია.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი ამოცანების გადაწყვეტით მიღებული შედეგების და, შესაბამისად, მათი ამოხსნის ალგორითმისადმი აზრს კარგავს ზედმეტად მკაცრი მოთხოვნების წაყენება.

ამრიგად, პრაქტიკული დანიშნულების ბევრი

ამოცანის გადაწყვეტამდე ზემო აბზაცში მოყვანილი მოსაზრების გამზიარებელი მკვლევრის წინაშე ჯერ წამოიჭრება წინმსწრები საკითხი, როგორი არჩევანი გააკეთოს პრობლემურ შუალედში „სიზუსტე-ეფექტიანობა“.

ცხადია, სწორედ ეს არჩევანი განაპირობებს ამოცანის ამოხსნის ხერხების შერჩევასაც.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს უნდა გაეცვას ხაზი:

პრაქტიკული ამოცანების ფორმულირებისას დგება სხვა საკითხიც – რამდენად ადეკვატურია ამოცანის დაყენება-გადაწყვეტისათვის შექმნილი მოდელი მის მიერ ასახულ რეალურ გარემოსთან? ცნობილია, რომ ნებისმიერი მოდელი მხოლოდ გარკვეული მიხედვით ასახავს საპრობლემო არეს (აბსოლუტური შესატყვისობა შეუძლებელიცაა). შესაბამისად, მოდელის შექმნისას მკვლევარი ახდენს სიტუაციის ამსახველი და მასზე მოქმედი ფაქტორების რანჟირებას და ამ მოდელში აღარ ითვალისწინებს მეორე თუ მესამე მხარის ხიზონად მიჩნეულ ფაქტორებს.

მოდელის მეშვეობით რეალობის მხოლოდ გარკვეული სიზუსტით ასახვა უმეტეს შემთხვევაში გართულებებს არ იწვევს, მაგრამ არა ყოველთვის!

მასასადამე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზემოთ დასმული საკითხის გადაწყვეტას, არჩევანის გაკეთებას, რომელი ფაქტორი რა რანგში მოვაქციოთ.

ქვემოთ განვიხილავთ შტოებისა და საზღვრების მეთოდისათვის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოდიფიცირებულ ვარიანტს ისეთი პრაქტიკული სახის ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც ზუსტი ოპტიმალური ამონახსნის მიღება აუცილებელი არ არის.

გადაწყვეტილების მიღება ადამიანს თავისი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში უხდება, ამასთან, მრავალ შემთხვევაში, ამოცანის ფორმულირება და მისაღები შედეგის უზრუნველყოფი ხერხების შემუშავება ხშირად კიდევ უფრო რთული საქმეა, ვიდრე იგივე პროცედურების ჩატარება „სუფთა მათემატიკური“ ამოცანებისათვის. საკითხი განსაკუთრებით მწვავედ მაშინ დგება, როდესაც საკვლევი საპრობლემო არე მოიცავს „ცოცხალ კომპონენტსაც“, მაგალითად კოდექსებით შეიარაღებულ იურისტებს, რომელთაც ძალუბთ ფრიად თავისებური ინტერპრეტაციით განმარტონ ერთი შეხედვით მკაცრად ფორმულირებული ესა თუ ის იურიდიული ნორმა.

საერთოდ, პოლისემიურობა ნებისმიერი ენისათვის ისედაც დამახასიათებელი მოვლენაა და აქტორთა მიერ ამ ფაქტორის ნებისთ თუ უნებლიეთ გამოყენებას უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვისაც კი.

დავუბრუნდეთ მათემატიკური ამოცანების წამოჭრა-გადაწყვეტის პრობლემატიკას, რომელიც მრავალ სასწავლო-მეთოდური სახის ნაშრომშია წარმოდგენილი.

ვთვლით, რომ ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამერიკელ მეცნიერსა და პედაგოგ ჯორჯ პოიას. მან გამოაქვეყნა ისეთი ნაშრომები, რომლებიც ბესტსელერებად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა [3-5].

გარდა მათემატიკურისა, მეცნიერი ამ შრომებში ყურადღებას ამახვილებდა პრობლემის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკურ ასპექტებზეც, კერძოდ მას მიზნად ჰქონდა დასახული ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს ამოცანების ამოხსნის ზოგადი მეთოდიკა.

პოიას ერთ-ერთი ასეთი, მაგრამ განსაკუთრებით გამორჩეული წიგნი გახლავთ „როგორ ამოვხსნათ ამოცანა“.

მეცნიერს მიაჩნია, რომ მოსწავლეები ლოგიკურ-თან ერთად უნდა დაეუფლონ ევრისტიკული აზროვნების ჩვევებსაც და ის გვთავაზობს ამ იდეის რეალიზაციის უზრუნველყოფ კონკრეტულ ინსტრუმენტსაც. ეს არის მკვლევრის მიერ დეტალურად გაწერილი, ცხრილის სახით წარმოდგენილი რეკომენდაცია რჩევების სახით, რომელსაც თან ერთვის “აზრზე მომყვანი” შეკითხვებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ პოიას მიერ განხილული მაგალითები მეტწილად სასკოლო მათემატიკის კურსიდან არის მოტანილი, თუმცა, იმდროინდელი ამერიკის (ესაა გასული საუკუნის 1940–1950-იანი წლები) სკოლებში მიღებული სწავლების სტილისაგან განსხვავებით, პოია უპირატესობას ანიჭებს დედუქციურ მეთოდს, ამასთან მეცნიერი მათემატიკას, როგორც დისციპლინას აღიქვამს ხედვის სხვა კუთხიდანაც – მას წარმოგვიდგენს არა როგორც მკაცრ, უზუსტეს ლოგიკურ-ევკლიდურ დისციპლინად, რასაც აქამდე ვიყავით მიჩვეულნი, არამედ ექსპერიმენტულ-ევრისტიკული სახის ისეთ დარგად, რომლის მეთოდების შექმნაში თითქოს წიგნის წაკითხვის პროცესშივე ვერთვებით!

ცხადია, მათემატიკის სწავლებისას ტრადიციული, დედუქციური მეთოდის გარდა პედაგოგები განიხილავდნენ და მოსწავლეებს აცნობდნენ ინდუქციურ ასპექტსაც. მაგრამ სწავლებაში მაგისტრალური მიმართულება გულისხმობდა, სახელმძღვანელოთა ავტორებს და პედაგოგებს ეს საგანი მოსწავლესთვის წარედგინათ მზამზარეული, უკვე კარ-

გად დამუშავებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების არსენალის როლში.

სწორედ პოია იყო ის პირველი მეცნიერი, რომელმაც მკითხველი შეიპატიჟა ამ დისციპლინის *სახელმძღვანელოთა სამზარეულოში* იმის საჩვენებლად, თუ როგორ მზადდება, მოვიშველიოთ მეცნიერის მიერ ნათქვამი სიტყვები – *მათემატიკური ნამცხვარი*.

პოია მათემატიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ასე მიმართავს:

“რა თქმა უნდა, ჩვენ შევისწავლით (თეორემების) დამტკიცებებს, მაგრამ ასევე შევისწავლით მიხვედრის ხელოვნებასაც”.

პოია ცდილობს მკითხველი გაარკვიოს არა მხოლოდ იმაში, თუ როგორი ხერხებით, რა გზებით უნდა ამოიხსნას მის წინ მდგარი რომელიმე კონკრეტული ამოცანა, არამედ დაანახოს მას ძიების პროცესის არსი და ასწავლოს, როგორ წარიმართოს იგი.

სწავლების პროცესისადმი პოიას მიდგომა ახლოსაა იმ კონცეფციასთან, რომელზე დაყრდნობით საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1930-იანი წლებიდან გამოიცემოდა სახალისოდ წოდებული სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელო და ჟურნალი, როგორებიცაა, მაგალითად, „სახალისო მათემატიკა“, „სახალისო ფიზიკა“, „სახალისო ქიმია“, „სახალისო ლინგვისტიკა“ და სხვა. ისინი, ძირითადად, ახალგაზრდობის მისაზიდად იყო განკუთვნილი, თუმცა ასაკობრივად უფრო ფართო ფენის ინტერესითაც სარგებლობდა.

დღეს გაცილებით ფართო შესაძლებლობებია ასეთი სახელმძღვანელოების გავრცელება-პოპულარიზაციისათვის მათთვის ელექტრონულ-ინტერაქტიური ფორმის მიცემით, საიტებზე განთავსებით და, რაც მთავარია, ახალგაზრდობისათვის დამხმარე სახელმ-

ძღვანელობად მიწოდებით. ამასთან, გაცილებით ადვილდება კონკურსების ჩატარება, ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა მთელი ქვეყნის მასშტაბით და მათი დაჯილდოება-წახალისება.

აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს. პოია წერს, რომ უამრავ ადამიანს ებადება სურვილი, სიხარულის გრძნობა განიცადოს მის მიერ მიღწეული თუნდაც მცირე აღმოჩენით. სწორედ ადამიანის ამ „სისუსტეს“ იყენებენ მასმედიის საშუალებები, როდესაც პროფილური სტატიების გვერდით აქვეყნებენ კროსვორდებს და ათასგვარი სახის თავსატეხებს.

ჩვენი გათვლა ასეთია: თუკი უამრავი ადამიანი სწორედ ამ საქმიანობაზე „ფუჟად“ ხარჯავს დროს, მით უფრო აზრი ექნებოდა მათთვის სახალისო ფორმით მიგვეწოდებინა ინფორმაცია იმ მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რომელიც მათ დაეხმარებოდა როგორც სკოლებსა და უნივერსიტეტებში სწავლის პროცესში, ისე შემდგომ, მეცნიერული კვლევებისას და/ან უბრალოდ ცხოვრებაში მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამასთან, პოია განმარტავს, რომ მოსწავლისათვის მზამზარეული მასალის ლექციის სახით, მაგალითად, პითაგორას თეორემის მიწოდებაზე, არანაკლებ და, შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ამოცანის ფორმირებამდე ასეთი საკითხის დასმა:

„შეიძლება კი მართკუთხა სამკუთხედში გამოთვლილ იქნეს ჰიპოტენუზის სიგრძე კათეტების სიგრძეების მიხედვით?“

რადგან პითაგორას თეორემას შევხებით, უპრიანია ვახსენოთ, რომ კლასიკურის გარდა, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში ეცნობიან, ჯერ კიდევ თვით პითაგორას დროიდან მოყოლებული ამ თეორემის

დამტკიცების მრავალი სხვა გზაც გამოიძებნა (დღეისათვის 400-მდე). საინტერესოა, რომ თვით ლეონარდო და ვინჩიმაც კი შემოგვთავაზა ერთ-ერთი მათგანი. გადმოცემით, სწორედ ამ თეორემის დამტკიცების ახალი გზის პოვნა ითვლებოდა სავალდებულოდ პითაგორიანელთა სკოლაში მისაღებად.

შვენიშნავთ, რომ ურიგო არ იქნებოდა ჩვენშიც შექმნილიყო ასეთი ონლაინ-სკოლა (და მასში ჩარიცხვაზე იმ შემთხვევაშიც არ გვეთქვა უარი მოსწავლისათვის, თუ მისი „აღმოჩენა“ რომელიმე არსებულს დაემთხვეოდა).

პოიას თავის წიგნში მოჰყავს „საკითხის შემოტრიალების“ მაგალითი. მთავარი ისაა, რომ მათთან გაცნობისას გვეუფლება აზრი, რომ ამოცანის სწორად დასმა მისი სანახევროდ გადაწყვეტაა, რასაც არ ასწავლიან სკოლაში. ამასთან, პოია გვასწავლის, რომ ჰიპოთეზამდე, რომელიც დამტკიცებას საჭიროებს, მივყავართ არა მათემატიკას, არამედ საბუნებისმეტყველო დარგებისათვის კარგად ნაცნობ არსენალს: დაკვირვებებს, ანალოგიებს, „ჯანსაღ აზრს“, ინტუიციას, „ღვთიურ ნაპერწკალს“.

მართალია, ამ ინსტრუმენტების განთავსება მათემატიკური კარადის თაროებზე ვერ ხერხდება, მაგრამ, პოიას მტკიცებით, გარკვეული გაგარჯიშების შემდეგ ნებისმიერ დარგში მომუშავე სპეციალისტი მათი მომარჯვებით შეძლებს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პოიას აქცენტი გადააქვს მსჯელობათა იმგვარად ორგანიზების შესწავლაზე, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მთავარი მიზნის მიღწევას – შევიძინოთ თეორემების ჩამოყალიბებისა და მათი მკაცრად დამტკიცების უნარი.

ძირითადი ნაწილი

სტატიის ამ ნაწილში, ჩვენ მიერ შემუშავებულ ზოგიერთ რეკომენდაციაზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ ზოგიერთი პრაქტიკული სახის ამოცანის დაყენება-გადაწყვეტის მაგალითებს.

ევრისტიკული ალგორითმი

შტოებისა და საზღვრების მეთოდისათვის

განვიხილოთ ამოცანები, რომლებშიც მოითხოვება N რაოდენობის ობიექტის ურთიერთგანლაგების ყველა შესაძლო შემთხვევიდან ამოირჩეს ისეთი, რომელიც მოცემული მიზნობრივი ფუნქციის ოპტიმალურ მნიშვნელობას იძლევა.

დისკრეტული მათემატიკის სფეროს კუთვნილი ასეთი ამოცანებისათვის ოპტიმალური ამოხსნის პოვნა ძალიან ხშირად დიდ დროს საჭიროებს ობიექტების არცთუ დიდი N რიცხვისათვის, ზემოთ განხილული შტოებისა და საზღვრების ეფექტიანი მეთოდით და თანამედროვე კომპიუტერების შესაძლებლობით სარგებლობის შემთხვევაშიც კი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული ფაქტორებიდან გამომდინარე, მრავალი პრაქტიკული სახის ამოცანისათვის ნაკლებად რელევანტურია მკაცრად ოპტიმალური ამონახსნის ძიება. საკვებით შესაძლებელია გამოთვლების დროის რამდენიმე რიგით შემცირება, თუ მოვახდენთ იმავე შტოებისა და საზღვრების მეთოდის მოდიფიცირებას, ევრისტიკული სახის ალგორითმად გადაქცევის გზით.

ამრიგად, კლასიკური მეთოდისაგან განსხვავებით, რომელიც ორიენტირებულია ზუსტი ოპტიმალური მნიშვნელობის გამოთვლაზე, ჩვენ მიერ შემო-

თავაზებული მიდგომა იყენებს ევრისტიკის ელემენტებს.

საერთოდ, პრაქტიკული სახის ამოცანების ამოხსნენლად სპეციალისტები დიდი ხანია წარმატებით მიმართავენ ევრისტიკულ, ასე ვთქვათ, „ჭკუასთან ახლომყოფ“ არჩევანზე დაფუძნებულ ალგორითმებს. მართალია, ასეთი მიდგომა, როგორც წესი, არ იძლევა მკაცრად ოპტიმალურ ამონახსნებს, მაგრამ პრაქტიკაში ისინი გაცილებით უკეთესია, ვიდრე შემთხვევითობის წესით გენერირებული რომელიმე კომბინაციის არჩევსას მიღებული.

სიახლე კი ჩვენს შემოთავაზებაში ის არის, რომ ევრისტიკულ მიდგომას ვიყენებთ შტოებისა და საზღვრების მეთოდისათვის, ამასთან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებით. კერძოდ, რადგან გამოთვლების დროის რადიკალურად შემცირების მიზნით უარს ვამბობთ მიზნობრივი ფუნქციისათვის გარანტირებულად ოპტიმალური მნიშვნელობის პოვნაზე, ვცვლით, განშტოების ხის შუალედურ პოზიციებზე ყოფნისას, გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიას:

მოცემული პოზიციისათვის გამოთვლილი ქვედა შეფასების გაანალიზებისას ქვების მოჭრა და უფრო პერსპექტიული ვარიანტების განხილვაზე გადასვლა ხდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ მიმდინარე გზის გაგრძელება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, არამედ მაშინაც, როდესაც მოცემულ ეტაპზე ქვედა შეფასების მნიშვნელობა წინასწარ დათქმულ სიდიდეზე უფრო მეტად არ განსხვავდება მიზნობრივი ფუნქციის მიმდინარე რეკორდული მაჩვენებლისაგან.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამოთვლის დროის მნიშვნელოვან ეკონომიას განაპირობებს,

თუმცა გამორიცხული არ არის ზუსტი ოპტიმალური შედეგი ვერც მივიღოთ. მიდგომის არსი მოკლედ ასეც შეიძლება განიხილოთ:

გამოთვლების ყოველ ეტაპზე ისმება კითხვა – ღირს კი უკეთესი შედეგების მისაღებად ძიების გაგრძელება და გათვლებზე მეტი დროის დახარჯვა, თუ უმჯობესია ეს დრო გამოყენებულ იქნეს ვარიანტების ხის მორიგი შტოს პერსპექტიულობის შესამოწმებლად?

მოდულიზირებული მეთოდის არსი განვიხილოთ ერთ მწკრივად განლაგებული ერთგანზომილებიანი ობიექტის ოპტიმალური განლაგების მოძიების ამოცანის მაგალითზე [6], რომლისთვისაც გათვლის დროის შესამცირებლად შემოთავაზებულია ამონახსნის პოვნის ევრისტიკული ხერხი.

ამოცანის დასმა. მოცემულია f_j სიგრძის მქონე ობიექტების სიმრავლე, რომლებიც განლაგებულია რაიმე წრფის (საკოორდინატო ღერძის, მაგისტრალის) გასწვრივ (ობიექტების როლში შეიძლება მოგვევლინოს ფაილები, შენობები, ელექტრონული ელემენტები):

$$F = \{f_j\}, j = 1, 2, \dots, m.$$

ობიექტებს შორის ურთიერთმიმართვის სიხშირეები წარმოდგენილია კვადრატული მატრიცის სახით, რომლის თითოეული a_{ij} ელემენტი აღნიშნავს f_i ობიექტიდან f_j -ზე გადასვლის რიცხვს.


მოითხოვება, ობიექტების ყველა შესაძლო $m!$ რაოდენობის განლაგებიდან ამოირჩეს ვარიანტი, რომლისათვისაც ობიექტიდან ობიექტზე გადასვლაზე დახარჯული ჯამური დრო მინიმალურ მნიშვნელობას მიიღებს. იგულისხმება, რომ ერთი

ობიექტიდან ნებისმიერ სხვაზე გადასვლის დრო მათ შორის მანძილის პირდაპირპროპორციულია.

ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე, ობიექტების ურთიერთგანლაგების განსახილველი ვარიანტების რიცხვი ორჯერ შეიძლება შევამციროთ, რადგან, ცხადია, რომ სარკული განლაგებაც იმავე შედეგს იძლევა, რასაც პირდაპირი. დასაშვებია აგრეთვე ორ ობიექტს შორის a_{ij} და a_{ji} მიმართვების წარმოდგენა r_i ჯამური სახით.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად ვიყენებთ შტოებისა და საზღვრების მეთოდს, რომელიც ობიექტების სიმრავლის ქვესიმრავლეებად (კომპლექსებად) დეკომპოზიციას ახდენს და მათზე დაყრდნობით – ვარიანტების ქვეკლასის პერსპექტიულობის შეფასებას [7, 8].

ქვემოთ გრაფიკული სახით წარმოდგენილია ობიექტების ყველა შესაძლო განლაგების ფორმირების სტრატეგია:



ვხედავთ, რომ პირველიდან დაწყებული ყოველ მომდევნოზე ხდება წინა ეტაპებზე დაუმაგრებელი ობიექტების თანდათანობითი მიბმა.

ამრიგად, თავდაპირველი m სიმრავლე $F = \{f_j\}$, $j = 1, 2, \dots$ ყოველ ეტაპზე, გარდა ბოლოსი, იყოფა ორი – დამაგრებელი და დაუმაგრებელი ობიექტების ქვესიმრავლეად.

შემდგომ პროცესი ასე წარიმართება:

1. გამოთვლების თითოეულ ბიჯზე ერთ-ერთი ობიექტი ფიქსირდება – ხდება ე. წ. წამყვანი;
2. გამოითვლება წამყვანი ობიექტის სხვა ობიექტზე გადასვლაზე დახარჯული მანძილის და, შესაბამისად, დროის იმ წილის გამოთვლა, რომელიც შეიტანება მიზნობრივ ფუნქციაში. ამასთან ერთად, დამაგრებული ობიექტებისათვის ცხადია, რომ ეს წილი ზუსტად განისაზღვრება, ხოლო დაუმაგრებლებისათვის გამოითვლება ამ წილის ქვედა შეფასების მნიშვნელობა.

ზემოთ აღწერილი მიდგომის კონკრეტული რეალიზაციები, ცხადია, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შეიძლება იყოს. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი განშტოების სტრატეგიის ნაცვლად, ქვედა შეფასებათა უფრო ეფექტურად გამოთვლის მიზნით, ერთ-ერთ ნაშრომში შემოთავაზებულია ამგვარი მიდგომა – ობიექტების დამაგრება მოხდეს არა ერთმანეთის მიყოლებით, არამედ კიდურ ადგილებზე რიგრიგობით და თანამიმდევრულად ანუ შემდეგი წესით [8]:

$$1, m, 2, m-1, 3, m-2, \dots$$

ასეთი გადაწყვეტილება, თავისთავად ცხადია, გავლენას ახდენს კომპლექსებში დამაგრებული და დაუმაგრებელი ობიექტების ურთიერთგანლაგებასა და, შესაბამისად, გამოთვლების ალგორითმის სტრუქტურაზეც.

ამრიგად, მოცემულია კომპლექსად წოდებული რაიმე ობიექტების სიმრავლე

$$A = \{f_j\}, j = 1, 2, \dots, m.$$

ამ სიმრავლეში ერთ-ერთი ელემენტი ფიქსირდება ე. წ. წამყვანად და აღინიშნება f_0 სიმბოლოთი. გარდა ამისა, თითოეულისათვის მოიცემა სიგრძე l_j და წამყვანისადმი მიმართვის სიხშირე r_j .

ამოცანის ამოხსნისათვის წაყენებულია პირობა – ობიექტები წრფის გასწვრივ ისე განლაგდეს, რომ თითოეულიდან წამყვანამდე გადასვლის ჯამურმა მანძილმა მიიღოს მინიმალური მნიშვნელობა:

$$\sum r_j (f_j, f_0) = \min.$$

ვარიანტების გადათვლის პროცესში f_0 წამყვანი ობიექტი შესაძლებელია მოხვდეს ხან ადგილზე დამაგრებული, ხან კი ჯერ კიდევ დაუმაგრებელი ფაილების კომპლექსში და, ამის მიხედვით, თვითონაც შესაბამისი თვისება შეიძინოს.

პირველ შემთხვევაში კომპლექსის მიერ მიზნობრივ ფუნქციაში შეტანილი წვლილი ზუსტად გამოითვლება, ამასთან დაუმაგრებელი ობიექტების კომპლექსში მათი ადგილმონაცვლეობით შესაძლებელი ხდება ობიექტების განლაგების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.

მეორე შემთხვევაში მიზნობრივ ფუნქციაში შეტანილი კომპლექსის წვლილის გამოსათვლელად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ქვედა შეფასების ხერხი. ამასთან, ვარიანტების განშტოებისათვის ზემოთ შერჩეული სტრატეგია შესაძლებელს ხდის კომპლექსის წვლილის ქვედა შეფასება გაიზარდოს შემდეგი გზებით:

- დაუმაგრებელი ობიექტების კომპლექსში გათვალისწინებულ იქნეს წამყვანთან კავშირის არმქონე ობიექტებიც;
- კომპლექსში ჩაერთოს წამყვანი ობიექტისადმი მიმართვის შემდეგ რიგში მყოფი ობიექტიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი ამოცანის გადაწყვეტის დრო კიდევ მეტად შემცირდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღებით, როცა უარი ითქმება მიზნობრივი ფუნქციის ოპტიმალური მნიშვნელობის მიღებაზე და დავკმაყოფილებით კვაზიოპტიმალური შედეგით წინასწარ განსაზღვრული შესაძლო ცდომილების ფარგლებში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვარიანტების განხილვა-უკუგდებისას ქვეზე მოიჭრება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვედა შეფასების სიდიდე აჭარბებს მოცემული მომენტისათვის დაფიქსირებულ რეკორდულ მაჩვენებელს მიზნობრივი ფუნქციისათვის, არამედ მაშინაც, როდესაც ქვედა შეფასების სიდიდე რამდენადმე უკეთესია აღნიშნულ რეკორდულ მაჩვენებელზე, მაგრამ ქვეზე ვარიანტების პერსპექტიულობის შემოწმება და, შესაბამისად, დროის დახარჯვა ნაკლებად მიზანშეწონილია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძიების გაგრძელების შემთხვევაში თუნდაც მოიტანოს მკაცრად ოპტიმალური შედეგი.

7 ქულის მეთოდი

ზემოთ განვიხილეთ ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად მეთოდის შემუშავება „სუფთა“ მათემატიკური აპარატისადმი მიმართვის პარალელურად მოითხოვს ამ აპარატთან სიმბიოზში ე. წ. „ჯანსაღ აზრზე“ დაფუძნებული ევრისტიკული მიდგომის გამო-

ყენებასაც. ამასთან, ჩანს, რომ პრიორიტეტი პირველ მდგენელს ეძლევა.

სტატიის ამ მონაკვეთში კი განიხილება ისეთი პრობლემური სიტუაციები, რომელთა აღმწერი მოდელის შესაქმნელად მათემატიკური აპარატის გამოყენება ან საერთოდ ვერ ხერხდება, ან შესაძლებელია (რაც ყოველთვის მისასალმებელია) ამოცანის ამოხსნის მხოლოდ ცალკეულ ეტაპებზე.

ბუნებრივია, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაინტერესდნენ ასეთი სიტუაციების შესწავლა-ანალიზით და ამ მიზნით შექმნეს მეცნიერების მთელი დარგი – ლოგიკა.

სტატიაში განიხილება ისევ ლოგიკაზე დაფუძნებული თანამედროვე მიდგომები ასეთი სახის პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა შორის ამჯერად გამოვარჩევთ დელფოსისა და დე ბონოს ექვსი ქულის მეთოდებს,

აღვნიშნავთ, რომ თითოეული მათგანი პოპულარობით სარგებლობს მკვლევართა საკმაოდ ფართო წრეებში (შევნიშნავთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებად), რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამ მეთოდებმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა.

დელფოსისა და დე ბონოს ექვსი ქულის მეთოდების არსში ჩაწვდომა არცთუ რთული საქმეა. ამასთან, მათ შესახებ უამრავი სტატიაა გამოქვეყნებული ინტერნეტში. შევნიშნავთ, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩვენც გვეკუთვნის [9]. სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, მათ აღწერაზე აღარ შევჩერდებით და გავმარტავთ ჩვენი ინტერესის საგანს და დასახულ მიზანს:

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თითოეულს ამ მეთოდთაგან

ღირსების პარალელურად ახასიათებს გარკვეული ნაკლიც.

ჩვენი მიზანი გახლავთ, შევქმნათ და ინტერნეტში განვითავოთ ინტერაქტიური სახის ისეთი კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც შენარჩუნებული იქნება ორივე მეთოდის ღირსება და ამავე დროს გამოირიცხება მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეებიც.

გარდა აღნიშნული მეთოდების სიმბიოზისა, უშუალოდ 6 ქულის მეთოდისათვის ვითვალისწინებთ ასეთი სიახლის შემოღებასაც (პარაგრაფის სათაურში სრულიად გამიზნულად გვიწერია, რომ საქმე გვექნება არა 6, არამედ 7 ქულის მეთოდთან), კერძოდ:

დე ბონოს მიერ აუცილებლად მიჩნეული თეთრი, ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე და შავი ქულების არსენალს ვამდიდრებთ კიდევ ერთი – **უჩინმაჩინის** ქულით. ამ ქულის ქვეშ მოქცეული ექსპერტი საერთოდ არ უნდა ჩანდეს არენაზე (უკეთესიც კი იქნება, თუ დისკუსიის მონაწილეებს მისი არსებობის თაობაზე არაფერი ეცოდინებათ!).

უჩინმაჩინ ექსპერტს ევალემა თითოეული იდეის, ობიექტის თუ სუბიექტის შესახებ მსჯელობისას შეაფასოს დისკუსიის თითოეული მონაწილის მიერ გამოთქმული ყოველი მოსაზრება და განხილვის ბოლოს თითოეული მათგანის შესახებ მზად ჰქონდეს როგორც ჯამური, ისე „ქულების“ ჭრილში წარმოდგენილი შეფასება. ამ შეფასებას “უჩინმაჩინი” მიაწვდის დისკუსიის ორგანიზატორებს, რომლებიც, როგორც წესი, არიან პრობლემის გადაწყვეტით დაინტერესებული მთავრობის ან კომპანიის წარ-

მომადგენლები. ამასთან, ვთვლით, რომ აჯობებს ეს ოფიციალური პირები უშუალოდ არ ჩაებნენ საკითხის განხილვის პროცესში, ხოლო თავიანთი მოსაზრებები მთავარ ლურჯქუდოსანს მიაწოდონ დისკუსიის დასაწყისში, შემდგომ ეტაპებზე კი – პერიოდულად და ინკოგნიტოდ.

დასკვნა

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია გადაწყვეტილების მიღების საკითხები ორი ტიპის ამოცანისათვის: 1. მათთვის, რომლებიც ადვილად ექვემდებარება მათემატიკურად ფორმულირებას, მაგრამ ხასიათდება ე. წ. *განზომილებათა წყევლით*, ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური სიტუაციის წარმოდგენა მათემატიკური მოდელის სახით ფაქტობრივად შეუძლებელია. პირველი სახის ამოცანებისათვის შემოთავაზებულია, რომ შტოებისა და საზღვრების მეთოდისათვის ოპტიმალურის ამონახსნის ძიების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მისაღები ევრისტიკული სახის მიდგომა; 2. მეორე ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად განხილულია ობიექტის, სუბიექტის, იდეის შესწავლა-განსჯისათვის სპეციალურად შემუშავებულ მეთოდები (გონებრივი იერიშის, დელფოსის, დე ბონოს 6 ქულის და სხვა). მათ ბაზაზე შემუშავებულია კომბინირებული ვარიანტის კონცეფცია. ამასთან, 6 ქულის მეთოდში დამატებულია მე-7 ქულიც და დასაბუთებულია ამ გადაწყვეტილების მართებულობა.

დასასრულ, აღნიშნული კონცეფციის პრაქტიკული რეალიზებისათვის გათვალისწინებულია ინტერაქტიური პროგრამის შექმნა.

ლიტერატურა

1. URL: <https://www.astronews.ru/cgi-bin/mng.cgi?page=news&news=20191024190057> (in Russian).
2. URL: https://en.wikipedia.org/wiki/Branch_and_bound
3. URL: <https://math.hawaii.edu/home/pdf/putnam/PolyaHowToSolveIt.pdf>
4. Polya G. Mathematics and plausible reasoning. Princeton University Press. 1987.
5. Polya G. Mathematical discovery: On understanding, learning and teaching problem solving. Combined edition. 1981.
6. URL: http://www.math.nsc.ru/AP/benchmarks/UFLP/uflp_bb.html (in Russian).
7. Gendel E.G., Levin N.A. Optimization of information processing technology for ACS problems. Moscow: "Statistics". 1977. (in Russian).
8. Gvinepadze G. Methods to increase the efficiency of information placement in direct access storage devices for ACS tasks. Kiev. 1982. (In Russian).
9. URL: http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf (in Georgian).

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

Methods for improving decision-making efficiency

Gela Gvinepadze Department of Automated Control Systems, Georgian Technical University, 77
M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Tornike Shavishvili Department of Automated Control Systems, Georgian Technical University, 77
M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia
E-mail: shavishvilitornike@gmail.com

Reviewers:

G. Chachanidze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: guramchachanidze@yahoo.com

E. Kurtskhalia, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: kurcxalia.elguja@gmail.com

11. Makharadze L.I. Free combined air – as an effective remedy for water hammers attenuation in the pressure head hydrotransport systems. Works of GTU. №3(513). Tbilisi. 2019, 78-85 pp. (in Russian).

UDC 532.595 : 622.648

SCOPUS CODE 2210

მაგისტრალურ მილსადენ ჰიდროსატრანსპორტო სისტემებში გარდამავალი პროცესებისა და ჰიდრაულიკური დარტყმების განვითარების მიზეზებისა და პირობების, აგრეთვე წნევების მკვეთრად გაზრდის საწინააღმდეგო ხერხებისა და საშუალებების კლასიფიკაცია

ლეონ მახარაძე სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: lmakharadze@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. ყირმელაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: gkirmelashvili@gtu.ge

ა. ბეჟანიშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: bezhanishvili@gmail.com

ანოტაცია. სადაწნეო მილსადენი ჰიდროსატრანსპორტო სისტემები ფართოდ გამოიყენება მრეწველობის მრავალ სფეროში, რაც განპირობებულია მისი მრავალი დადებითი ფაქტორით, ტრანსპორტის სხვა ტრადიციულ სახეობებთან შედარებით. მის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტორი, რომ, დანიშნულებისა და ექსპლუატაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ანალოგიურ სისტემებში ხშირად აქვს ადგილი არასტაციონარული პროცესებისა და ჰიდრაულიკური დარტყმების წარმოქმნას და განვითარებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სისტემის ეფექტურობასა და, შესაბამისად, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რადგან ადგილი აქვს სერიოზულ ავარიებს არასასურველი შედეგებით. ამდენად, მათ წინააღმდეგ ბრძოლა მეტად აქტუალური სამეცნიერო და საინჟინრო პრობლემაა, რომელთანაც დაკავშირებული საკითხების გადაჭრას მიეძღვნა გრ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტში შესრულებული როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული ფუნდამენტური კვლევები ნახევრად სამრეწველო ლაბორატორიულ დანადგარებსა და მსხვილ სამრეწველო ჰიდროსატრანსპორტო სისტემებზე. სწორედ ამ კვლევების შედეგების განზოგადებას ეფუძნება ამ ნაშრომში განხილული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: არასტაციონარული პროცესები; გრუნტის ტუმბოები; სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემები; სადაწნეო მილსადენები; ჰიდრაულიკური დარტყმები; ჰიდრაულიკური დარტყმების ჩამქრობი; ჰიდრაულიკური დარტყმების დემპფერები.

UDC 532.595 : 622.648

SCOPUS CODE 2210

Classification of causes and conditions of development of nonstationary processes and water hammers in main pipeline hydraulic transport systems, as well as the methods and means preventing pressure surge

Leon Makharadze Department of Mining Technology, Georgian Technical University, 75 M. Kostava str.
0160, Tbilisi, Georgia
E-mail: lmakharadze@gtu.ge

Reviewers:

G. Kirmelashvili, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: gkirmelashvili@gtu.ge

A. Bezhanishvili, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: bezhanishvili@gmail.com

Abstract. At the moment, pressure hydrotransport systems are widely used in many sectors of industry, which is predetermined by many positive factors, compared to other traditional means of transport. However, specific nature of the exploitation and operation, similar systems often produce nonstationary processes and hydraulic shocks, which negatively affects the system efficiency and technical-economic indicators, as they often cause serious accidents and deterioration of the performance of similar systems. Therefore it represents a rather urgent scientific and engineering challenge. Appropriate theoretical and experimental fundamental studies on semi-industrial lab equipment and large industrial hydrotransport systems performed at G. A. Tsulukidze Mining Institute were dedicated to the resolution of the issues related to them. The paper reviews the issues concerning the generalization of above mentioned studies' results.

Key words: Hydraulic shocks; hydraulic shock alleviator; hydraulic shock dampers; nonstationary processes; pressure hydrotransport systems; pressure pipelines; soil pumps.

Дата рассмотрения 24.10.2019

Дата поступления 01.11.2019

Подписано к печати 26.03.2020

UDC 72

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-143-151>

გუმბათის ჯვარი

(მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიისთვის)

ირაკლი ქვარაია სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ

E-mail: irakvara@yahoo.com

ლიანა გიორგობიანი არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

რეცენზენტები:

თ. სანიკიძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: t.sanikidze@gmail.com

ნ. მსხილაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

ანოტაცია. ჯვარი, ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო-ნიშანი, მრავალ რელიგიასა და კულტურაში გვხვდება. როგორც ქრისტიანთა მთავარი სიმბოლო, ის IV საუკუნიდან მკვიდრდება, რაც გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმასთანაა დაკავშირებული.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემამ უდიდესი გავლენა მოხდინა ტაძრის დაგეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, სხვადასხვა ფორმის ჯვრის გამოსახულება საკულტო ნაგებობის საფასადე და შიგა სივრცის დეკორის სავალდებულო შემადგენელი ელემენტი ხდება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტაძრის

გუმბათზე აღმართულ ჯვარს, რომელიც ნაგებობის დასრულების ნიშანი, სიმბოლურად მისი ზეციური გვირგვინით შემკობაა და დამოუკიდებელი მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტი.

ყოველი ახალი ქრისტიანული ტაძრის აგებისას, მისი არქიტექტურული სახის თვითმყოფადობის უზრუნველყოფასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ტაძარზე აღსამართი ჯვრის მხატვრულ გაფორმებას ექცევა. თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარზე აღმართულ ჯვარს სრულიად ახლებური მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა აქვს და საქართველოს ტაძრებზე აღმართულ ჯვრებს შორის ყველაზე დი-

დი წონისაა. ყველა სხვა გუმბათის ჯვრებისგან გამოირჩევა მხატვრული გაფორმებით, ორიგინალურობითა და დახვეწილი პროპორციებით.

საკვანძო სიტყვები: გუმბათი; თითბერი; სახურავი; ტაძარი; ჯვარი.

შესავალი

ჯვარი, ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო-ნიშანი, მრავალ რელიგიასა და კულტურაში გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანობამდელი ჯვრის წარმოშობისა და მისი შინაარსის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. საზოგადოდითვლება, რომ ის სამყაროს ოთხი მხარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ჯვრის გამოსახულებები ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ხანიდან გვხვდება და, სავარაუდოდ, მზის სიმბოლო-ნიშნებია. ჯვარს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ხალხის ყოფაცხოვრებაში. ტერმინი ჯვარი ღვთაების მნიშვნელობითაც იხმარებოდა წინაქრისტიანულ საქართველოს მთიანეთში. ჯვარს სხვადასხვა გრაფიკული გამოსახულება აქვს, მაგ., ტოლმკლავა, სწორმხრებიანი, სამკუთხედებით შედგენილი, შეიძლება იყოს წრიულ ჩარჩოში, კვარცხლბეკზე შესმული, განედლებული და სხვა. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, მათ მაინც მსგავსი ხაზობრივ-სტრუქტურული აგებულება აქვს, გრძელ ვერტიკალურ ღეროს პერპენდიკულარულად გადაეჭდობა მეორე მოკლე ღერო.

ჯვარი, როგორც ქრისტიანთა მთავარი სიმბოლო, IV საუკუნიდან მკვიდრდება, რაც გოლგოთაზე

ქრისტეს ჯვარცმასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანობის პირველ წლებში ჯვარი მორწმუნეებში შიშს იწვევდა. დროთა განმავლობაში რომის იმპერიაში დამნაშავეთა დასჯისთვის განკუთვნილი ეს იარაღი გამარჯვების, სიწმინდისა და ხსნის სიმბოლოდ იქცა. ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი ეწამა, IV საუკუნეში აღმოაჩინეს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს დედამ – ელენემ და იერუსალიმის ეპისკოპოსმა მაკარმა. კონსტანტინეს ბრძანებით, იერუსალიმში აშენდა ქრისტეს აღდგომის ტაძარი, რომელიც 335 წლის 13 სექტემბერს იკურთხა, ხოლო 14 სექტემბერს (ახალი სტილით 27 სექტემბერს) მოხდა ჯვრის აღმართვა ანუ ამალღება. ეს დღე გამოცხადდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ დღესასწაულად – ჯვართამაღლებად. მას შემდეგ ჯვარი, როგორც მაცხოვრის სიმბოლო და კაცობრიობის ხსნის ნიშანი, ყველა ქრისტიანული ტაძრის განუყოფელი და უმთავრესი ატრიბუტია.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემა წამყვან ადგილს იკავებს ქრისტიანობის მიღების ადრეულ ეტაპზე (ჯვრის, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს, დამკვიდება საქართველოში წმინდა ნინოს სახელთანაა დაკავშირებული). მან უდიდესი გავლენა მოახდინა ტაძრის დაგეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, სხვადასხვა ფორმის ჯვრის გამოსახულებები საკულტო ნაგებობის საფასადე და შიგა სივრცის დეკორის სავალდებულო შემადგენელი ელემენტი ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტაძრის გუმბათზე აღმართულ ჯვარს, რომელიც ნაგებობის დასრულების ნიშანი, სიმბოლოურად მისი ზეციური გვირგვინით შემკობაა და ზეიმით აღინიშნება. ასეთ დიდ

დღესასწაულად იქცა თბილისში, მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის გუმბათზე ჯვრის დადგმა, რომელიც 2015 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღეს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღიმართა.

ძირითადი ნაწილი

გუმბათოვან საკულტო ხუროთმოძღვრებაში ნაგებობის წრიულ (როტონდა) ან ჯვრის ფორმას თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი საფუძველი და მნიშვნელობა აქვს, წრე რწმენის ერთიანობას, ხოლო ჯვარი მარადიულ სიცოცხლეს გამოხატავს. ტაძრის შიგა მოცულობა, მისი სივრცე მთელი სამყაროს, ხოლო გუმბათი ცის გამოხატულებაა. ფორმის მიხედვით, ქრისტიანული ტაძრის გუმბათის გადახურვა შეიძლება სფერული, ჩაფხუტისებრი (სფერულ-კონუსური), ბოლქვისებრი, კონუსური და კარვისებრი ფორმის იყოს. ბიზანტიური კულტურისათვის სფერული იყო დამახასიათებელი, როგორც სიძლიერისა და მარადისობის სიმბოლო. ბიზანტიასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელებული იყო ასევე ტაძრის გუმბათების ჩაფხუტისებრი სახურავით გადახურვა, რაც სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენდა. ბოლქვისებრი გადახურვა სლავური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. იგი ანთებულ წმინდა სანთელს და ზეცისკენ ლტოლვას განასახიერებს. კონუსური სახურავი ზეციური სინათლისა და ღვთისმშობლის იმედის სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ სლავურ საკულტო არქიტექტურაში სიმბოლური დატვირთვა ენიჭება ასევე გუმბათის სახურავის ფერსაც: ყველაზე გავრცელებულია ოქროსფერი, რომელიც ქრისტეს მარადისობას

და ზეციურ დიდებას განასახიერებს; ლურჯი ფერი ღვთისმშობლის სიწმინდისა და უმანკოების გამომხატველია. მისადმი მიძღვნილი ტაძრების ლურჯ სახურავებზე ხშირად ვარსკვლავებია გამოსახული, რაც შობას გამოსახავს; მწვანე ფერი სულიწმინდის ნიშანია; წმინდანთა სახელზე აგებული ტაძრების გუმბათების სახურავებს სიწმინდის ფერი – ვერცხლისფერი აქვს; შავი იშვიათია და სამონასტრო ნაგებობებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო გუმბათების სხვადასხვა ფერი – იერუსალიმის ცის მშვენიერებაზე მიუთითებს.

ასევე განსხვავებულია ქრისტიანული ტაძრების გუმბათების და, შესაბამისად, მათზე აღმართული ჯვრების რაოდენობაც. გუმბათების სიმრავლე განსაკუთრებით თვალში საცემია სლავურ (ძირითადად რუსულ) არქიტექტურაში. მათ რაოდენობას ყოველთვის განსაზღვრავს, ვის სახელზეა აგებული ტაძარი. მაგალითად, რუსეთში, ვოლგორადის ოლქში აღმართული ფერისცვალების სახელობის ტაძარი ყველაზე მრავალრიცხოვანი, ოცდაცამეტგუმბათიანია (სურ.1). იგი ქრისტეს მიწიერი ცხოვრების წლებს ასახავს.


საქართველოში, მთელი ქრისტიანული სამყაროს მსგავსად, საეკლესიო ნაგებობის ძირითადი ტიპები ბაზილიკური, ცენტრული გეგმის გუმბათოვანი და ერთნავიანი დარბაზული ეკლესიებია გავრცელებული. როგორც წესი, გუმბათოვან ტაძრებს, რომელიც წამყვანი თემა ხდება ქართულ ხუროთმოძღვრებაში VI საუკუნიდან, მხოლოდ ერთი ე.წ. ყელზე, ყველა გუმბათოვანი ეკლესიის დამაგვირგვინებელ წახნაგოვან კონსტრუქციაზე აღმართული გუმბათი აგვირგვინებს და პირამიდული სახურავით სრულდება (გვაქვს გამონაკლისე-

ბიც). ამჟამად, ქვეყანაში არსებული 3500-ზე მეტი დიდი თუ მცირე ეკლესია-მონასტრებიდან, მხოლოდ ერთადერთს, VIII საუკუნის გურჯაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას (გურჯაანის ყველაწმინდა) აქვს სამნავიანი ბაზილიკა ორი გუმბათით (სურ. 2). მისი აგება ქართული არქიტექტურის ისტორიაში ცნობილ ე.წ. „გარდამავალ ხანას“ (VII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე) ემთხვევა, როდესაც ხდება კლასიკური არქიტექტურული ფორმების უკუგდება და იწყება ახალი შემოქმედებითი გზების ძიება. გურჯაანის ყველაწმინდა ბაზილიკური სივრცისა და გუმბათოვანის, ქართულ ხუროთმოძღვრებაში თითქოს შეუთავსებელი ორი ელემენტის შერწყმაა. ამიტომაც, ის სრულიად უნიკალური.

ქრისტიანული ტაძრების გუმბათების გადახურვის დამაგვირგვინებელი მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტია ჯვარი. იგი მრავალი ფორმისა და კონფიგურაციისაა. მართლმადიდებლობაში ჯვრების მრავალფეროვნება ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც ითვლება სავსებით კანონზომიერ მოვლენად. ამასთან ერთად, ყველაზე გავრცელებულია ე.წ. ლათინური ჯვარი (მას სიდიდით ერთმანეთის ტოლი ზედა სამი და ქვედა საგრძნობლად გრძელი მკლავი აქვს). ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ასეთი ჯვრიდან მოხდა ქრისტეს გარდამოხსნა და ხშირად „გარდამოხსნის ჯვარსაც“ უწოდებენ.

არქიტექტურული პროპორციების გათვალისწინებით, ტაძარზე აღსამართი ჯვარი დაახლოებით ტაძრის სიმაღლის მეათედს უნდა შეადგენდეს. ის დამოუკიდებელი კონსტრუქციული ელემენტია, რომელიც ძირითადად ლითონისაგან მზადდება

და მხატვრულად სრულიად სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გაფორმებული. ჯვრის კონსტრუქციული გადაწყვეტის მთავარი პირობაა, რომ იგი იყოს აბსოლუტურად მტკიცე და მდგრადად ჩამაგრებული.



სურ. 1. 33-გუმბათიანი ფერისცვალების ტაძარი ვოლგოგრადის ოლქში



სურ. 2. გურჯაანის ყველაწმინდა ორგუმბათიანი ბაზილიკა

ტაძარზე აღმართული ჯვარი, როგორც წესი, აუცილებლად სფეროს ეყრდნობა, რომელიც სამყაროს განასახიერებს. ზოგიერთ ჯვარზე სფეროსთან ერთად ვხვდებით ნახევარმთვარესაც (სურ.3). აღსანიშნავია, რომ ეს დეტალი არ არის დაკავშირებული ისლამთან ან მის რაიმე გავლენასთან. ნახევარმთვარე იყო ბიზანტიის სახელმწიფოს სიმბოლო და იმპერატორის უსაზღვრო ძალაუფლებას გამო-


ხატავდა. მხოლოდ 1453 წელს, კონსტანტინოპოლის თურქების მიერ აღების შემდეგ, ხდება ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური ემბლემა. აქედან გამომდინარე, ჯვარზე არსებული ნახევარმთვარე ქრისტეს მეფობას და მის ზეადმატებულებას უსვამს ხაზს.



სურ.3. ტაძარზე აღმართული ჯვარი სფეროთი და ნახევარმთვარით

ყოველი ახალი ქრისტიანული ტაძრის აგებისას, არქიტექტურული სახის თვითმყოფადობის უზრუნველყოფასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტაძარზე აღსამართი ჯვრის მხატვრულ გაფორმებას. საქართველოში არსებულ ტაძრებს მრავალი ლამაზი, მაღალ მხატვრული ღირსების მქონე ჯვარი ამშვენებს. მათ შორის ყველაზე მაღალი და სილამაზით გამორჩეულია თბილისში, წმინდა სამების საკათედრო ტაძარზე აღმართული ჯვარი, რომლის სიმაღლე 7,5 მეტრია, ხოლო მასა – 2000 კგ. იგი დამზადებულია ლითონის პროფილებისგან. სამების ჯვარი მხატვრულად დამუშავებული ლითონის ულამაზესი ელემენტებითაა გაფორმებული. მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური პროფილები ერთმანეთს განივი ტიხრებით უკავშირდება, რაც, კონსტრუქციის შემ-

სუბუქებასთან ერთად, ხელს უწყობს მისი მდგრადობის ამაღლებას. ჯვარი მთლიანად მოქრულია ოქროს ფურცლების გამოყენებით (სურ. 4).



სურ. 4. სამების საკათედრო ტაძარზე აღმართული ჯვარი

თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის პროექტის ავტორმა, არქიტექტორმა ომარ ნაფეტვარიძემ დაამუშავა ტაძრის ჯვრის სრულიად ახლებური მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა. თავისი ფორმით ის განსხვავდება სხვა ჯვრებისგან. კომპოზიციის ცენტრს ქმნის დიდი წრე, რომლის გარშემო განლაგებულ მკლავებში სხვადასხვა ზომის მომცრო წრეებია ჩასმული და სამ-სამი წაგრძელებული ფორმის ფურცლით სრულდება. ჯვრის დამაბოლოებელი მცენარეული ორნამენტის ტალღოვანი მოხაზულობა, დიდი და პატარა წრეების დინამიკური მონაცვლეობა მსუბუქ, დახვეწილ იერს ანიჭებს მთელ მოცულობით-დეკორაციულ კომპოზიციას და ჯვრის გამორჩეულ მხატვრულ სახეს ქმნის. ამავე დროს, სხვადასხვა ფორმისა და ზომის სიცარიელის გამოყენებით, ჯვრის სილამაზისა და ორიგინალურობის გარდა, მიღწეულ იქნა საერთო წონისა და მასზე მოქმედი ქარის დატვირთვის ზე-

მოქმედების საგრძნობი შემცირება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კონსტრუქციის მიღება, მისი ფორმების სირთულიდან გამომდინარე, მხოლოდ ჩამოსხმის გზით იყო შესაძლებელი. ჯვარი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული თითბრის გასროლილი საარტილერიო ჭურვების მასრების გადადნობით ჩამოიხსა. შედეგად, 5,1 მ სიმაღლის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის ჯვარი საქართველოში აქამდე ჩამოსხმულებს შორის ყველაზე დიდია, ხოლო მისი წონა სამების საკათედრო ტაძარზე აღმართული ჯვრის წონასაც აღემატება და 3000 კგ-ზე მეტს შეადგენს.

მნიშვნელოვანი გაბარიტული ზომებიდან გამომდინარე, ჯვრის ჩამოსხმა ცნობილმა ოსტატებმა – მამა-შვილმა ოლეგ და პაატა გელაშვილებმა ეტაპობრივად განახორციელეს. ჩამოსასხმელი მაკეტის წინასწარ აგების შემდეგ მოხდა ჯვრის ოთხი ძირითადი ნაწილის ცალ-ცალკე ჩამოსხმა და დამუშავება (სურ. 5).



სურ. 5. ჯვრის ცალკეული ნაწილების ჩამოსხმა

მომდევნო ეტაპს წარმოადგენდა ჯვრის ნაწილების კედლებს შორის ჩასასმელი სხვადასხვა ზომის წრის ჩამოსხმა და მათი დამონტაჟება (სურ. 6).



სურ. 6. ჯვრის ჩამოსხმული წრეების დამონტაჟება

ტაძრის გუმბათის თავზე სპეციალურად აგებულ ჩამაგრების კვანძამდე ჯვრის აწევამდე მისი ოთხივე ძირითადი ნაწილი ცენტრალური წრის გარშემო გაერთიანდა. ჯვრის ქვედა ფეხში ჩამოსხმის პროცესშივე ჩამონტაჟდა ჩასამაგრებელი მილი, რომელიც გამოყენებული იყო ასევე საყრდენი სფეროს მოსაწყობად (სურ. 7).



სურ. 7. ჯვრის აღმართვა

დასკვნა

ჯვარი ქრისტიანული ტაძრის გუმბათის გადახურვის დამაგვირგინებელი დამოუკიდებელი მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტია, როგორც ქრისტიანთა მთავარი სიმბოლო. ჯვარი IV საუკუნიდან მკვიდრდება და მხატვრულად სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გაფორმებული, მაგრამ,

მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც მსგავსი ხაზობრივ-სტრუქტურული აგებულება აქვს.

ჯვრის თემამ უდიდესი გავლენა იქონია ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების დაგეგმვრებით-მოცულობითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. გუმბათი ქრისტიანულ ეკლესიებში ცის გამოხატულებაა, რომელიც ჯვრით, სიმბოლურად ზეციური გვირგვინითაა შემკული.

თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარზე აღმართულ

ჯვარს სრულიად ახლებური მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა აქვს და საქართველოს ტაძრებზე აღმართულ ჯვრებს შორის ყველაზე დიდი წონისაა (3000 კგ-ზე მეტი), ამასთან, ის ყველაზე დიდი ჩამოსხმული ჯვარია აქამდე ჩამოსხმულთა შორის. მისი სიმაღლე 5,1 მეტრია. ყველა სხვა გუმბათის ჯვრისგან გამორჩეულია მხატვრული გაფორმებით, ორიგინალურობითა და დახვეწილი პროპორციებით.

ლიტერატურა

1. Kvaraia I., Giorgobiani L. The biggest church bell cast in Georgia. GTU works. No. 2 (512). 2019. (in Georgian).
2. Kvaraia I., Giorgobiani L. A new decoration solution for the front door of the temple. GTU works. No. 2 (512). 2019. (in Georgian).
3. Kvaraia I. Methods of construction and realization of reinforced concrete dome roofing systems. Tbilisi: "Technical University". 2017. (in Georgian).
4. Dighmelashvili Q. Christian symbols of I-VI centuries in Georgia. Tbilisi University publication. 2010. (in Georgian).
5. Mshvildadze M. Early Christianity in Georgia. Tbilisi: "Universal Publishing House". 2008. (in Georgian).
6. Kipiani G. Basilica of King Mirian. Issues in Georgian architecture theory and history. Tbilisi: "Georgian Technical University". 2007. (in Georgian).
7. Surguladze I. Symbols of Georgian folk ornament. Tbilisi: "Science Publishing House". 1986. (in Georgian).
8. Zakaraia P. The architecture of Urbnisi settlement. Tbilisi: "Science". 1965. (in Georgian).
9. Beridze V. Georgian church architecture of XVI-XVIII centuries. Tbilisi. 1994. (in Georgian).
10. Lortkipanidze G. Bichvinta town. Tbilisi: "Technical University Press". 1991. (in Georgian).
11. Beridze V. Old Georgian architecture. Tbilisi. 1974. (in Georgian).
12. Sanikidze T. Notes on some issues in the history of Georgian architecture. "Mnatobi". No. 11. 1973. (in Georgian).

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Dome Cross

(For the History of the Iveria Holy Virgin Mary Icon Temple at Makhata Mount)

Irakli Kvaraia Department of Civil and Industrial Engineering and Building Materials, Georgian Technical University, 68 b M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: irakvara@yahoo.com

Liana Giorgobiani Department of Fundamentals of Architecture, Georgian Technical University, 68 a M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Reviewers:

T. Sanikidze, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: t.sanikidze@gmail.com

N. Mskhiladze, Professor, Faculty of Civil Engineering, GTU

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

Abstract. A cross is one of the oldest symbols that can be found in many religions and cultures. Connected to the crucifixion of Jesus on Golgotha, a cross was established as the main symbol of Christianity in the IV century.

The theme of a cross had the biggest influence on forming the structure of the design and spatial organization in Georgian architecture. At the same time, images of crosses in various forms have become necessary elements of facade and interior decorations of Christian buildings. A cross on a dome is a sign of completing a church, symbolically adorning it with a heavenly crown, and it is an independent creative and constructional element.

When building a new Christian church, together with creating distinctiveness of its architecture, particular attention is paid to the decoration of a dome cross. The cross on the Iveria Virgin Mary Icon Temple at Makhata Mount in Tbilisi has a novel styling and constructional decision. It is also the heaviest among the crosses mounted on the churches of Georgia. With its decoration, originality and refined proportions, it is distinguished among other crosses on domes.

Key words: Brass; church; cross; dome; roof.

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Купольный крест

(к истории церкви имени Иконы Иверской Божьей Матери на горе Махата)

Ираклий Кварая Департамент технологии гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: irakvara@yahoo.com

Лиана Гиоргобиани Департамент основ архитектуры и теории, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Рецензенты:

Т. Саникидзе, профессор, доктор искусствоведческих наук факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ

E-mail: t.sanikidze@gmail.com

Н. Мсхиладзе, профессор строительного факультета

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

Аннотация. Крест, один из древнейших символов во многих религиях и культурах. Как главный символ христианства, он датируется 4-м веком и связан с распятием Христа на Голгофе.

В грузинской архитектуре тема креста оказала большое влияние на формирование структуры храма. В то же время, изображения крестов становятся обязательным элементом фасада и внутреннего убранства культовых зданий. Большое значение имеет крест и на куполе храма, которое является признаком достройки здания, символически является его небесной короной и представляет собой самостоятельный художественно-структурный элемент.

При строительстве каждого нового христианского храма, наряду с его архитектурной самобытностью, особое внимание уделяется художественному оформлению креста, который будет воздвигнут на куполе. Крест собора иконы Иверской Божьей Матери на горе Махата выделяется среди всех других купольных крестов своим художественным дизайном, оригинальностью и изысканными пропорциями.

Ключевые слова: крест; крыша; купол; латунь; храм.

განხილვის თარიღი 11.11.2019

შემოსვლის თარიღი 09.12.2019

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.03.2020

UDC 72

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-152-160>

მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის საკურთხეველი და მისი მხატვრული გაფორმება

- ირაკლი ქვარაია** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: irakvara@yahoo.com
- ლიანა გიორგობიანი** არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

რეცენზენტები:

თ. სანიკიძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: t.sanikidze@gmail.com

ნ. მსხილაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

ანოტაცია. ქრისტიანულ ტაძარში საკურთხეველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ზეციურ სამყაროს, სამოთხეს განასახიერებს. უდიდესი სულიერი მნიშვნელობა აქვს მის შემადგენელ მცირე არქიტექტურულ ფორმებსაც: ტრაპეზს, კანკელს, აღსავლის კარს და ა.შ. აქ შევხებით მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წმინდა ადგილს – საკურთხეველს და მისი ცალკეული ელემენტების არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტას, რომელიც მხატვრული გაფორმების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში.

ტაძრის მთავარი ტრაპეზი მთლიანი ქვის ფილაშია შესრულებული და ყველაზე დიდია საქართველოს ტაძრებში აქამდე არსებულებთან შედარებით. მისი საყრდენი ნაწილი ძველ რომაულ სტილშია გადაწყვეტილი, რაც არ გვხვდება საქართველოს სხვა ტაძრებში. ტრაპეზს განსაკუთრებულ მდიდრულ იერს აძლევს მის გვერდებზე ამოკვეთილი ფურცლოვანი ოქროთი დაფარული ღვთისმშობლის ლოცვა. ყურადღებას იქცევს ტრადიციული ფორმის კანკელის აღსავლის კარის დეკორის თავისებურებაც. ოსტატი განსხვავებულად უდგება კარის შემკულობას საკურთხეველისა და ინტერიერის მხრიდან.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საკურთხევლის არქიტექტურული ფორმების დეკორის შესრულების განსაკუთრებით მაღალ დონეს, რაც საქართველოში ქვაზე ჭრისა და ხეზე კვეთის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

საკვანძო სიტყვები: კანკელი; კარი; მარმარილო; მოზაიკა; ორნამენტი; საკურთხეველი; ტრაპეზი.

აგებული კოლონადა, მის შიგნით 3–4 მ სიმაღლეზე მდებარე საკურთხეველით (სურ. 1).



სურ. 1. პერგამონის საკურთხეველი

შესავალი

ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საკურთხეველი (ლათ. Aaltare - სამსხვერპლო) ძირითადი სივრციდან გამოყოფილი ამდლებული ადგილია. შობამდე მრავალი საუკუნით ადრე, ღმერთების რისხვის ასაცილებლად და მათი მფარველობის მოსაპოვებლად, პირველი სამსხვერპლოები იგებოდა შემის ზვინისგან და მას მსხვერპლთან ერთად წვავდნენ. შემდეგ მსხვერპლის შესაწირად დაიწყეს ღია ცის ქვეშ თიხის, ქვის ან სხვა ხელმისაწვდომი მასალებისგან შემადლების მოწყობა, რომელმაც დროთა განმავლობაში არქიტექტურული ფორმა მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ.წ. II საუკუნეში ძველი საბერძნეთის ქალაქ პერგამონში (დღევანდელი თურქეთი) აგებული საკურთხევლის სტრუქტურა. იგი პერგამონის მეფე ატალ I-მა (გავრცელებული ვერსიით ევმენ II) მიუძღვნა ზევსს, კელტებთან ომის მოგების აღსანიშნავად. გრანდიოზული შენობა, ზომით 36,44 X 34,20 X 9,0 მ იყო მაღალ, 40-საფეხურიან ცოკოლზე

ქრისტიანულ ტაძარში საკურთხეველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ზეციურ სამყაროს, სამოთხეს განასახიერებს. უდიდესი სულიერი მნიშვნელობა აქვს მის შემადგენელ მცირე არქიტექტურულ ფორმებსაც: ტრაპეზს, კანკელს, აღსავლის კარს და ა.შ. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აგებულ ტაძრებში საკურთხეველი მხოლოდ ამდლებით გამოირჩეოდა ძირითადი სივრცისგან. ნაოსისგან საკურთხევლის გამოსაყოფად ფარდის – კრეტსაბმელის დაკიდება IV საუკუნეში ბასილი დიდის დროს დაიწყო. მალევე, ფარდასთან ერთად, თავისებური ტიხრის-კანკელის აგება დაიწყეს, რომელიც თავდაპირველად დაბალი კედელი იყო (მაგ., IV საუკუნით დათარიღებული ზებედას (სირია) ეკლესიის კანკელი დაბალი პარაპეტი იყო, სვეტებისა და თავების გარეშე). 1054 წელს ქრისტიანულ რელიგიაში მომხდარი დიდი განხეთქილების (დიდი სქიზმა) შემდეგ მართლმადიდებელ ეკლესიებში კანკელის ცენტრალური ნაწილი აღსავლის ანუ სამეფო ორფრთიანმა კარმა დაიკავა, როგორც სამოთხის

კარის სიმბოლომ. ამავე დროს მკვიდრდება სამნაწი-
ლედ საკურთხეველიც პასტოფორიებში, სადიაკვა-
ნოსა და სამკვეთლოში ცალ-ცალკე შესასვლელი კა-
რით. ქრისტიანული ტაძრის საკურთხეველის აუცი-
ლებელი შემადგენელი ელემენტია წმიდა ტრაპეზი –
მაგიდა, რაზეც ზიარების საიდუმლო მზადდება.
ქვის ან ხის ოთხკუთხა ფორმის ტრაპეზი საკურთ-
ხეველის შუაგულში თავსდება ან აფსიდის ცენტრა-
ლური სარკმლის ქვეშ კედელზეა მიდგმული.

ამრიგად, წინამდებარე სტატია მახათას მთის
ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის
წმინდა ადგილს – საკურთხეველს და მისი ცალკეუ-
ლი ელემენტების არქიტექტურულ-მხატვრულ გა-
დაწყვეტას ეხება.

ძირითადი ნაწილი

მართალია, საქართველოს ტაძრებში საკურთ-
ხეველის სამ ნაწილად გამართვა ერთბაშად არ მომხ-
დარა, მაგრამ მაინც ადრევე იჩინა თავი. ქართულ
საკულტო ხუროთმოძღვრებაში დამხმარესათავსი-
ანი საკურთხეველები მტკიცედ იკიდებს ფეხს, ძი-
რითადად VI საუკუნიდან (თავისუფალი ჯვრის
ტიპის და დარბაზული ეკლესიების გამოკლებით).
ზოგიერთ ადრეულ ნაგებობაში აღმოსავლეთ აფსი-
დის გვერდით უკვე გვაქვს ასეთი გამოყოფილი
ოთახები (მაგ., V საუკუნის მატანის ცხრაკარა).

ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი
წყაროები და ქართული ეკლესიები მოწმობს, რომ
საკურთხეველი, როგორც ყველაზე გამორჩეული ნა-
წილი ტაძარში თავიდანვე აწეული იყო იატაკის
დონიდან ერთი ან ორი საფეხურით. გარდა ამისა,
ღვთისმსახურების ადგილი ნაგებობის დანარჩენი
სივრცისგან დამატებითი არქიტექტურული კონსტ-

რუქციითაც იყო გამოყოფილი. სამეცნიერო ლი-
ტერატურაში მსჯელობის საგანია საკითხი თუ რა
ასრულებდა ასეთი გამოყოფის როლს ადრეულ ქრის-
ტიანულ ტაძრებში და როდის უნდა გაჩენილიყო
ქართულ ეკლესიებში კანკელი, თავისებური ბარიე-
რი. როგორც ცნობილია, IV–VII საუკუნეების
კანკელებს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია, უცნობია
მათი არქიტექტურული სახეც. აკადემიკოს გ. ჩუბი-
ნაშვილის აზრით, უძველეს ქართულ ეკლესიებში
საკურთხეველისა და ნაოსის გამოყოფი ტიხრის მა-
გივრობას კრეტსაბმელი ასრულებდა. ჩვენამდე
მოღწეული ყველაზე ადრეული, შემდეგში ფართოდ
გავრცელებული ქართული კანკელები, რომლებიც
ბარიერის, სვეტებისა და თაღებისაგან შედგებოდა,
გარდამავალ ხანას მიეკუთვნება. ისინი ქვისგან ან
თაბაშირისგან (იშვიათად ხის მერქნისაგან) მზად-
დებოდა. განსაკუთრებული ღირებულებისაა XI
საუკუნის სპეთის, საფარის მიძინების ეკლესიის,
ჯრუჭის, შიომღვიმის, პატარა ონის, ატენის და სხვა
კანკელები, რომელთა ქვაში ნაკვეთი რელიეფები
შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო
ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება.

საქართველოში ქვაზე ჭრისა და ხეზე კვეთის
მაღალ კულტურაზე მეტყველებს ქვეყნის ტერიტო-
რიაზე არსებული ტაძრების ჩვენამდე მოღწეული
მრავალი კანკელი, აღსავლის კარი, ტრაპეზი. არსე-
ბულ ტრადიციებს არ ღალატობს თანამედროვე
ხუროთმოძღვრებიც. უკანასკნელ წლებში აგებული
ტაძრები საკურთხეველის ცალკეული დეტალების
მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებით გამოირჩე-
ვა. ასეთია ქ. თბილისში, მახათას მთაზე, არქიტექ-
ტორ ომარ ნაფეტვარიძის პროექტით აშენებული
ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.

ტაძრის მთავარი კანკელის კარკასი აიგო მონო-ლითური რკინაბეტონისაგან, რომელიც შემდეგ შეიმოსა იტალიური წარმოების (კარარას კარიერი) თეთრი მარმარილოს ფილებით. ქვის სამუშაოები შეასრულეს მაღალი კვალიფიციის სპეციალისტებმა, მოქანდაკეების – გია ჯაფარიძისა და ზაურ ჯოხაძის ხელმძღვანელობით. კანკელი დამშვენებულია ქვაში ამოკვეთილი ორნამენტებით, დეკორაციული ლილვებით, თაღებითა და კაპიტელებით. კანკელის ცენტრში, აღსავლის კარის თავზე ჯვრის ამალღების სცენაა გამოსახული (სურ.2).

ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი, ტრაპეზის მთლიანი ფილა კარარას თეთრი მარმარილოსაგან არის დამზადებული და ყველაზე დიდია საქართველოში. მისი ზომა 240 X 200 სმ, სისქე 16 სმ შეადგენს და თითქმის 2,5 ტონას იწონის.



სურ. 2. ტაძრის კანკელი და ტრაპეზი

ტრაპეზის ოთხივე კუთხე გაფორმებულია რელიეფური ორნამენტებით, ხოლო მისი წიბოების შუა ნაწილში გამოკვეთილია ტაძრის გუმბათზე აღმართული ორიგინალური, სხვებისგან განსხვავებული ჯვრის გამოსახულება. მაგიდის ფილა საფე-

ხურიანი ბაზისით დაბოლოებულ, ძველ რომაულ სტილში გადაწყვეტილ ოთხი კვადრატული ფორმის ბურჯს და ცენტრში განთავსებულ ჯვრის ფორმის დამატებით საბჯენს ეყრდნობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაგიდის საყრდენი ელემენტების ვერტიკალური ღარებით დამუშავება ამსუბუქებს ქვის ზედაპირს და გარკვეულ დეკორაციულ ეფექტს ქმნის. ამრიგად, მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით ის სრულიად განსხვავდება საქართველოში აქამდე ცნობილი ტრაპეზებისგან, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ქვის უძრავი მასიური კუბი იყო.

მახათას ტაძრის ტრაპეზის ფილის მომრგვალებულ წიბოებს შორის, მის მთელ პერიმეტრზე ამოკვეთილია ღვთისმშობლის ლოცვა „მოწყალებისა კარი გაგვიღენ...“. იგი შესრულებულია ქვაში კვეთის ცნობილი ოსტატ პაატა გიგაურის მიერ. რელიეფური წარწერა ფურცლოვანი ოქროთია დაფარული, რაც ტრაპეზს განსაკუთრებით მდიდრულ იერს ანიჭებს (სურ. 3).



სურ. 3. საკურთხევლის ტრაპეზი

საკურთხევლის გარდა, ტრაპეზი სამკვეთლოშიც არის განთავსებული. ის შედარებით მცირე ზომისაა და კარგად ერწყმის სათავსის აფსიდურ მოხაზუ-

ლობას. მაგიდა ორ გრეხილლილვიან სვეტს და მათ შორის მოთავსებულ ფილას ეყრდნობა, რომლის ცენტრალური ნაწილი კვადრატულ ჩარჩოში ჩასმულ ტაძრის ჯვრის გამოსახულებას უჭირავს. სამკვეთლოს ტრაპეზი უხვადაა შემკული მცენარეული, ფოთლოვანი ორნამენტებით (სურ.4).



სურ. 4. სამკვეთლოს ტრაპეზი

ძველი დროიდან ქართული ეკლესიის საკურთხევის კიდეც ერთი შემადგენელი ელემენტია მღვდელმსახურთა დასაჯდომი – სინთრონუსი, რომელიც აფსიდის კედლებს საფეხურებად განლაგებული შემოუყვება. შუაში ყოველთვის სამღვდელმთავრო კათედრა – „საყდარია“ განთავსებული. ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევის ღვთისმსახურთა დასაჯდომი ზუსტად იმეორებს აფსიდის მოხაზულობას, მიუყვება მას ორივე მხრიდან და საკურთხევის ცენტრში, სამი საფეხურით შემადგენულ მღვდელმთავრის კათედრისთვის განკუთვნილ ადგილთან სრულდება.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ინტერიერში უხვადაა გამოყენებული მარმარილო, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტაძრის ინტერიერის მდიდრული მხატვრული სახის შექმნაში. თეთრი მარმარილოთია შესრულებული საკურთხევის იატაკი,

ღვთისმსახურთა დასაჯდომი, საკურთხევის წინ ამბიონის იატაკი და სოლეა ასასვლელი კიბით. საკურთხევის, როგორც მთლიანად ტაძრის იატაკს, სალიეთის (ჭიათურის რაიონი) წითელი მარმარილოსგან შესრულებული დეკორაციული კონტური შემოუყვება, რომელიც აცოცხლებს და მკვეთრ ფერადოვან აქცენტს ქმნის ინტერიერში (სურ. 5).



სურ.5. საკურთხევის იატაკი და მაღალი დასაჯდომი

მხატვრული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის საკურთხევის შემადგენელ ელემენტებს შორის, მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კანკელის აღსავლის კარი. თავად კარი ლითონის კარკასზე გადაკრული კაკლის მერქნის შეწებებული ფიცრებისგანაა გაკეთებული, რაც გამორიცხავს მათ დეფორმაციას და ბზარების გაჩენას. საინტერესოაა გადაწყვეტილი აღსავლის კარის მხატვრული გაფორმება ინტერიერისა და საკურთხევის მხრიდან. საკურთხევის მხარეს ხეში ამოკვეთილია მთავარანგელოზების და 12 მოციქულის გამოსახულება. ეს სამუშაო, ასევე სადიაკვანოსა და სამკვეთლოში შესასვლელი ორი კარი მთავარანგელოზების გამოსახულებით ხეზე ჭრის ოსტატმა

პაატა დევდარიანმა შეასრულა. განსხვავებული შემკულობა აქვს კარს ნაოსის მხრიდან. მხატვარმა დავით კაკაბაძემ ის მიკრომოზაიკით გააფორმა, რომელშიც ოქროსფერი ჭარბობს. უზვადაა გამოყენებული ძვირფასი ქვის ჯიშებიც. კარის ორივე ფრთა მოვარაყებულა მაღალი სინჯის ვერცხლის

ფურცლებით, რომელსაც მთლიანად ფარავს ნატიფი ორნამენტები (ოქრომჭედელი ზ. ჩიქვინიძე). აღსანიშნავია, რომ ტაძრის მხრიდან ეს ფურცლები მოოქრულია, ხოლო საკურთხევის მხარეს შენარჩუნებულია და ძალზე ეფექტურია მისი ბუნებრივი შეფერილობა (სურ. 6).



სურ. 6. აღსავლის კარი

კანკელის ოთხივე თაღოვანი სივრცე მთლიანად შევსებულია ხატებით, რომელიც მხატვარმა თეიმურაზ ჯაფარიძემ დაწერა. კანონიკური წესის მიხედვით, აღსავლის კარის მარცხნივ მოთავსებულია ღვთისმშობლის ხატი, მის გვერდით – წმინდა ნინოს გამოსახულება. კარის მარჯვენა მხარეს მაცხოვრის ხატია, რომლის შემდეგ, დადგენილი წესით, იმ წმინდანის გამოსახულება უნდა იყოს, რომლის სახელზეც არის აგებული ტაძარი. ვინაიდან ეკლესია ღვთისმშობლის ხატის სახელობისაა, მისი ხატის არსებობის გამო, მაცხოვრის შემდეგ კანკელზე ანდ-

რია პირველწოდებულის ხატია განთავსებული, რასაც თავისი ახსნა აქვს (სურ.7). 2019 წლის 12 მაისს ტაძრის კურთხევა დაემთხვა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემობრძანების დღეს და ქვეყნის ისტორიაში პირველად ეს დღე გამოცხადდა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრის დღედ. ეს უდიდესი საეკლესიო და საერო მოვლენა, რომელიც საზეიმოდ აღინიშნა, გულისხმობს ანდრია პირველწოდებულის ღვთისმშობლის ხელთუქმნელ ხატთან ერთად ღვთისმშობლის საქართველოში შემობრძანებას.



სურ. 7. ტაძრის კანკელის საერთო ხედი

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თბილისში მახათას მთაზე, 2019 წლის მაისში დასრულებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი, ერთი მხრივ, აგრძელებს ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ საკურთხევლის გამართვის ტრადიციას და საკურთხევლის ცალკეული ელემენტების მხატვრული გაფორმების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში.

ქართული ტრადიციული ფორმისგან განსხვავ-

დება ტაძრის მთავარი ტრაპეზი, რომლის მთლიანი ქვის ფილა ყველაზე დიდია საქართველოს ტაძრებში აქამდე არსებულებთან შედარებით. მისი საყრდენი ნაწილი ძველ რომაულ სტილშია გადაწყვეტილი, რაც არ გვხვდება სხვა ტაძრებში. აღსანიშნავია მისი დეკორაციული შემკულობაც. მთავარი ადგილი აქ ტრაპეზის ფილის გვერდებზე ამოკვეთილ და შემდეგ ფურცლოვანი ოქროთი დაფარულ ღვთისმშობლის ლოცვას უჭირავს, რომელიც განსაკუთრებულ მდიდრულ იერს აძლევს ტრაპეზს.

ყურადღებას იქცევს ტრადიციული ფორმის კანკელის აღსავლის კარის დეკორის თავისებურება. ოსტატი განსხვავებულად უდგება კარის შემკულობას საკურთხევლისა და ინტერიერის მხრიდან, რითაც სიახლე შეაქვს ამ მცირე არქიტექტურული ფორმის მხატვრულ გაფორმებაში.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საკურთხევლის არქიტექტურული ფორმების დეკორის შესრულების განსაკუთრებით მაღალ დონეს, რაც საქართველოში ქვაზე ჭრისა და ხეზე კვეთის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ლიტერატურა

1. Kvaraia I. Carving of the temple with natural stone. Technical University. Tbilisi. 2018. (in Georgian).
2. Kvaraia I. The role of building science in the development of religion. Third international conference “Science and religion”. Collection of works. Tbilisi. 2014. (in Georgian).
3. Posternak K.V. Iconostases of F.B.Rastrelli. Architecture and construction of Russia. 2013. (in Russian).
4. Klimov O. The kingdom of Pergamon. Problems of political history and government. St. Petersburg. 2010. (in Russian).
5. Khachapuridze L. For one ecclesiastical term (Trapezium). “Georgian Heritage”. 1998. (in Georgian).
6. Tsitsishvili I. Georgian art history. Tbilisi. 1995. (in Georgian).
7. Zakaraia P. Leningor district. Tbilisi. 1981. (in Georgian).
8. Beridze V. Old Georgian architecture. Tbilisi. 1974. (in Georgian).
9. Shmerling R. O. Small forms in architecture of medieval Georgia. Tbilisi. 1962. (in Russian).

UDC 72

SCOPUS CODE 2216

The Altar of the Iveria Holy Virgin Mary Icon Temple at Makhata Mount and its painting

Irakli Kvaraia Department of Civil and Industrial Engineering and Building Materials, Georgian Technical University, 68 b M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: irakvara@yahoo.com

Liana Giorgobiani Department of Fundamentals of Architecture, Georgian Technical University, 68 a M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Reviewers:

T. Sanikidze, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: t.sanikidze@gmail.com

N. Mskhiladze, Professor, Faculty of Civil Engineering, GTU

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

Abstract. An altar has a special place in the Christian church. It represents heaven. Even its smallest architectural forms, such as the Lord's table, an iconostasis, the Holy Doors, and others, have the biggest spiritual meaning. The article concerns the altar of the Iveria Holy Virgin Mary Icon Temple at Makhata Mount, its architectural and decorative decisions, which is one of the most distinguished in Georgia by its styling.

The Lord's table of the church is made in a whole stone slab and it is the biggest among those existing in the churches of Georgia. Its supporting part is made in the Roman style, the similarity of which cannot be found in other churches of Georgia. The Lord's table gets a particularly rich expression by the carved and gold-plated Virgin Mary's prayer on its side. The specific decoration of the Royal Doors with a traditional form also attracts attention. Artisan used different approaches when decorating the door from the sides of the altar and interior.

In the end, we should mention a particularly high level of decoration of the altar's architectural forms in the Iveria Holy Virgin Mary Icon Temple demonstrating advanced practice of stone and wood carving in Georgia.

Key words: Altar; iconostasis; Lord's table; marble; mosaic; ornament; Royal Doors.

UDC 72

SCOPUS CODE 2216

Алтарь церкви имени иконы Иверской Божьей Матери на горе Махата и ее художественное оформление

Ираклий Кварая Департамент технологии гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: irakvara@yahoo.com

Лиана Гиоргобиани Департамент основ архитектуры и теории, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Рецензенты:

Т. Саникидзе, профессор, доктор искусствоведческих наук факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ

E-mail: t.sanikidze@gmail.com

Н. Мсхиладзе, профессор строительного факультета

E-mail: mskhiladzenini@yahoo.com

Аннотация. Алтарь занимает особое место в христианском храме. Это пример небесного мира, рая. Большое духовное значение имеют малые архитектурные формы: престол, иконостас, царские врата и т. д. В статье рассматривается архитектурно-художественное решение алтаря храма иконы Иверской Божьей Матери находящейся на горе Махата и ее отдельных элементов, которая является одной из самых выдающихся в Грузии с точки зрения художественного оформления.

Основной престол храма выполнен из цельной каменной плиты и является самой большой по сравнению с другими существующими престолами грузинских храмов. Его основание сделано в римском стиле, которого нет в других храмах Грузии. Престолу дает особенно роскошный вид высеченная на нем молитва Богородицы, покрытая золотыми листами. Внимание привлекает традиционная форма иконостаса и особый декор царских врат. Мастер по разному подходит к художественному решению оформления царских врат со стороны интерьера и со стороны алтаря.

В заключении необходимо подчеркнуть особенно высокий уровень мастерства исполнения декора архитектурных форм церкви имени иконы Иверской Божьей Матери, что свидетельствует о высокой культуре резьбы по камню и по дереву в Грузии.

Ключевые слова: алтарь; иконостас; мозаика; мрамор; орнамент; престол; царские врата.

განხილვის თარიღი 11.11.2019

შემოსვლის თარიღი 09.12.2019

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.03.2020

UDC 008

SCOPUS CODE 2604

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-161-168>

Течение проводящей жидкости сдавливаемой между двумя параллельными вращающимися пористыми дисками с учетом слабого магнитного поля и теплопередачи при переменной электропроводности

- Леван Джикидзе** Департамент инженерной механики и технической экспертизы строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68⁶
E-mail: l.jikidze@gtu.ge
- Варден Цуцкиридзе** Департамент математики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: b.tsutskiridze@mail.ru
- Эка Элердашвили** Департамент математики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 77
E-mail: ek.elerdashvili@yahoo.com

Рецензенты:

Д. Горгидзе, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: d.gorgidze@gtu.ge

Г. Тодуа, ассоциированный профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: gochatodua@mail.ru

Аннотация. Методом последовательных приближений (методом функции Грина и малого параметра) изучена задача о течении проводящей жидкости, сдавливаемой между двумя параллельными вращающимися пористыми дисками, с учетом слабого магнитного поля и теплопередачи, когда коэффициент электропроводности является функцией температуры жидкости

$$\sigma(z, t) = \sigma_0 T(z, t).$$

Для решения задачи использованы уравнения Навье-Стокса нестационарного течения проводящей жидкости в однородном внешнем магнитном поле и уравнение энергий. С помощью автомодельных преобразований система нелинейных уравнений движе-

ния жидкости и теплопередачи в частных производных записаны в виде системы обыкновенных нелинейных дифференциальных уравнений, решения которых с помощью функции Грина приведены к решению соответствующей системы интегро-дифференциальных уравнений.

Решения задачи ищем в виде бесконечных рядов по малому параметру числа Рейнольдса. Построена функция Грина соответствующей задачи и записаны рекуррентные формулы, которые дают возможность вычислить решения в произвольном приближении. В явном виде найдены первые два приближения.

Вычислены все физические характеристики течения. Для обоих дисков также вычислен момент сопротивления вращению дисков и коэффициент теплоотдачи.

Ключевые слова: автотомодельное преобразование, магнитное поле, нестационарное течение, проводимость, пористость, сдвиг, теплопередача, функция Грина.

Введение

Решения уравнений движения жидкости, сдвигаемой между двумя дисками, вызывает большой интерес в теории гидродинамической смазки. Упрощения, приводящие дифференциальные уравнения в частных производных к обыкновенным дифференциальным уравнениям сделали возможным глубоко изучить характер течения.

Ишизава [1] впервые получил подобные решения в случае нестационарного ламинарного течения между двумя параллельными дисками. Позднее Ванг [2] получил подобные решения в двумерном осесимметричном случае и дал полное численное решение уравнению движения жидкости.

В последние годы явления магнитогидродинамической смазки привлекли значительное внимание ввиду ее важности во многих отраслях промышленности. Многие исследования в этом направлении были мотивированы в связи с широким использованием жидкого металла смазочных материалов в высокотемпературных подшипниках.

В теоретических и экспериментальных анализах авторов, которые исследовали явления магнитогидродинамической смазки, в уравнениях Навье-Стокса в частности или полностью были пренебрежены инерционные члены.

Последние исследования, мотивированные возрастанием скоростей современных машин использованием смазочных материалов низкой вязкости для снижения потерь энергии показали важность инерционных эффектов.

Интересными являются те случаи, когда электропроводная среда движется между проницаемыми поверхностями в магнитном поле с учетом теплопередачи. В работах [3,4] были изучены задачи о дви-

